

№7 (271)

ქართული სტრატეგია

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“
კორნეე ლენინი

ფასი 1 ლარი


18 – 24 თებერვალი, 2015 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„ყველა რომელიღაც უცხო ძვეყნის წომიანი აგენტია!“

ადვოკატი ელზა ჯგუხაძე: „ხელისუფლებაში არ უნდა მოვიდეს ძალა, რომელსაც ფარული ჩანაწერების ეზინია!“

„ჯანელიძემ და მისგან თანამოაზრეებმა პრემიერი შეცდომაში შეიყვანეს!“

„შვანისას საქმეზე ერთი წინადადებაც რომ ვთქვა, ამაფეთქებენ!“



»»» 89-8-9 გვ.

გენერალ დავით კეკუას თვითგვლელობისა და ლევან კალაძის საქმის საიდუმლო – კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსის სკანდალური ექსკლუზივი

გაფიოზურნი თამაშები

»»» 89-2-3 გვ.



ფიზიკური დაპირისპირება „ოცნებაში“



ვახტანგ მაისაია და ჯგუხუშვილის ბრალდებით სხვა გასამართლებული დარჩაშილთან შეხვედრას ითხოვენ

„სვეტიცხოვლის თავზე, ღამის ოთხ საათზე, ამოუცნობი სოცალდი და ფრინდა...“



»»» 89-13-14-15 გვ.

„ცე-რე-უ“-ს დირექტორის სკანდალური წერილი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დახურული სხდომა

„უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი დავამთავრა, კარგა ხანს კათედრაზე ვიმუშავე და ღვერთთან სწორედ ფიზიკის მეშვეობით მივედი – უკეთესად დავინახე გიგლიაც და ღვერთიც. პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ სათანადო დონეზე ჯერ ჩვენი საგარეო ვერ შეგვისწავლია და სხვა ცივილიზაციის კვლევას რომორ მოვახერხებთ?“



საქართველოს პარლამენტი
საგარეო ურთიერთობების კომიტეტი

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კონსტანტინე ფორჩხიძე

საგარეო ურთიერთობების კომიტეტი

გაფიოზური თაგაშები

„აღმოსავლეთის გაფართოვებულ პროგრამაში, „ევრონესტს“ რომ ეძახიან, ექვსი სახელმწიფოა გაერთიანებული და აქედან ხუთში გაყინული კონფლიქტია. შესაბამისად, ამ სახელმწიფოების ევროკავშირისკენ სწრაფვა შენელებულია. რუსეთის ინტერესში შედის, რომ უკრაინაში კონფლიქტი გაყინოს და ამით ხელი მხოლოდ უკრაინის კი არა, საქართველოს ევროინტეგრაციასაც შეუშალოს.“

აი, ასე: სახეზეა უდიდესი პოლიტიკური ინტრიგა — მიხეილ სააკაშვილი, რომელზეც საქართველოში „შიდა ძეგნა“ გამოცხადებული, უკრაინის პრეზიდენტმა შტაბგარეშე მრჩეველად დაინიშნა. ამასთან დაკავშირებით „ოცნების“ რეაქციაზე უკვე ბევრი ითქვა და დაინერა, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი გარემოებისთვის ყურადღება არავის მიუქცევია — სააკაშვილი, როგორც თვითონ ამბობს, უკრაინისთვის იარაღის მიწოდებაზე იმუშავებს. უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში ამბობს, რომ ზემოხსენებული სააკადრო გადაწყვეტილებით ყველაფერი თავის ადგილას „დაჯდა“, ანუ ფორჩხიძის ვერსიით, იარაღის საერთაშორისო მაფია თავის საქმიანობას კვლავ წარმატებით განაგრძობს და არც ისაა გამორიცხული, რომ ამ ბიზნესში საქართველომ ტრანზიტის ფუნქცია უწინდებურად შეასრულოს. ამასთან, ქართველი სპეცსამსახურელი აქცენტი ბელორუსის პრეზიდენტის საქართველოში შესაძლო ვიზიტზეც აკეთებს და აცხადებს, რომ ლუკაშენკოს სტუმრობის ფარული მიზანი, საგარეოდ, სწორედ ეს თემა იქნება... ერთი სიტყვით, დიდი მაფიოზური თამაშები და საქართველო — „ქართული სიტყვა“ კონსტანტინე ფორჩხიძის 50-ე ინტერვიუს წარმოგადგენთ:



ფიზიკური დაპირისპირება „ოცნებაში“

პუტინი საბჭოთა კავშირშია დარჩენილი, დღევანდელი რუსეთის პოლიტიკა კი, ხისტი საბჭოთა მიდგომების გაგრძელებაა. პუტინი თავის სურვილებს მეთოდურად და მიზანმიმართულად იკმაყოფილებს.
— თუ სურვილებს იკმაყოფილებს, აბა, ხაზს მძიმე ღამეს რატომღა უსვამს?

პოლიტიკურ საქმიანობას უკრძალავს. სწორედ ამიტომაც, სააკაშვილი ამ ნაბიჯის გადადგმას მოერიდა და საერთაშორისო რეფორმების რაღაც საბჭოს მრჩეველობა შეითავსა. სხვათა შორის, ესეც რუსეთის ინტერესში შედის.

— რუსეთი რაღა შუაშია?
— ახლა რუსეთს მეტი საბაბი ექნება, საერთაშორისო ორგანიზაციებში დააყენოს საკითხი, აი, ხედავთ, უკრაინის ხელისუფლება სააკაშვილსა და მისნაირ პიროვნებებს იფარებს, ესე იგი, თვითონაც ისეთივეა, როგორც „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლება იყო.
— მაშასადამე, კრემლს ორი ინტერესი აქვს — ფარული, რომელიც, როგორც აცხადებთ,

იარაღის საერთაშორისო მაფიას უკავშირდება და მეორე, ღია, რომელიც სააკაშვილის დისკრედიტაციას გულისხმობს, არა?

— დიახ, ასეა.
ისე, საქართველოში ლუკაშენკოს მომავალი ვიზიტის ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

— რომელ კონტექსტში?
— საქართველო პირდაპირ უკავშირდება ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტურ ზონებს, ანუ საქართველო ერთადერთი რეალური სახმელეთო გზაა, რომლითაც ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს იარაღი უნდა მიეწოდოს.

— ეჭვობთ, რომ საქართველოს გავლით, იარაღით უკანონო ვაჭრობა გაგრძელდება?

— ეს, ნატოს ახალი პროგრამების იმპლემენტაციის პირობებში, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან საქართველო შეიარაღებას პირდაპირ ნატო-სგან მიიღებს და იარაღის შავ ბაზარზე შესყიდვა აღარ დასჭირდება. შესაბამისად, ჩვენს ტერიტორიაზე ფარული სქემების განხორციელებაც შეუძლებელი გახდება, თუმცა ლუკაშენკოს მოსალოდნელი ვიზიტი ამ სქემების შენარჩუნების მცდელობას ნიშნავს.

— მაინც, რომელი სქემების?

— ლაპარაკია იგივე „ბელტეკ ექსპორტსა“ და მის წარმომადგენელ პეფტიევეზე, რომელიც იარაღის უკანონო ბიზნესის ბელორუსული მიმართულების კურატორია. პეფტიევი ამჟამად აბუდაბიშია...

— თუკი თქვენი ვარაუდი სიმართლესთან ახლოსაა, როგორ ფიქრობთ, საქართველოს ახალი ხელისუფლება ლუკაშენკოს შეთავაზებას დასთანხმდება?

— არ ვიცი. საერთოდ, ლუკაშენკო საკმაოდ ჭკვიანია და ამ ვიზიტით რამდენიმე კურდღელს დაიჭერს.

— საგულისხმოა, რომ მინსკში, ლუკაშენკო პუტინს „ნაეკიფა“ — კინაღამ სკამი „გამოაცალა“...

— კაცმა არ იცის, პუტინი ამ „ნაეკიფებას“ შეარჩენს თუ არა, თუმცა ერთი ნათელია: ლუკაშენკო მინსკის შეხვედრის პედალირებით, პირველ რიგში, დასავლეთთან ურთიერთობის დალაგებას შეეცადა.

— „ბურგუნდიული ოთხეულის“ შეხვედრა მინსკში ლუკაშენკოს ინიციატივით გაიმართა, არა?

— მედიატორი ლუკაშენკო იყო...

— ერთი სიტყვით, კოტე ბატონო, საქმე დიდ მაფიოზურ თამაშებთან გვაქვს?
— რა თქმა უნდა. ყველაფერი ეს დიდ ფულს უკავშირდება და ამ მაფიოზურ თამაშებში რუსეთი და ის მაფიოზები არიან ჩართულნი, რომლებიც თავის დროზე საბჭოთა მოქალაქეები იყვნენ.

— ეს საერთაშორისო მაფია თუკი მართლა არსებობს, „სტავკას“ მანცდამანც სააკაშვილზე რატომ აკეთებს?

— თქვენ, რა, გგონიათ, რომ „ეფ-ბი-აი“ მხოლოდ რიგითი ჩინოსნების საქმიანობას სწავლობდა? ვერც ერთი მათგანი, თუნდაც კუერაშვილი, მიშას გარეშე ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა!

— ასეა თუ ისე, სააკაშვილის უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველობა „ოცნებას“, მიზნით, ჩვენი სამთავრობო დელეგაცია, ოფიციალური ვიზიტით, კიევში ჩადის და... მოლაპარაკების მაგიდასთან მიხეილ სააკაშვილს ხვდება, რომელზეც სამშობლოში შიდა ძეგნა გამოცხადებულია...

— ამ დიპლომატიური უხერხულობის აღმოსაფხვრელად ერთადერთი გზა არსებობს, რომელსაც წელიწადზე მეტია, „ოცნებას“ ვთავაზობ — ის სახელმწიფო შესყიდვები შეინაწავლოს, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო 2006 წლიდან მოყოლებული 2010 წლამდე აწარმოებდა. ამ წლების განმავლობაში, საქართველომ...

— მიხეილ სააკაშვილს უკრაინაშიც იმის გაკეთება უნდა, რასაც საქართველოში აკეთებდა. საერთოდ, ამ განცხადებით სააკაშვილიმა ყველაფერი ის დაადასტურა, რაზეც თითქმის წელიწადია, „ქართულ სიტყვასთან“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში ვამბობ.

— იარაღით უკანონო ვაჭრობას გულისხმობთ?

— დიახ. ამ ვაჭრობაში სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობის“ იმ ელიტასთან ერთად, რომელიც დღეს უკრაინაშია, თავად პოროშენკოც მონაწილეობდა — წინა ინტერვიუებში გითხარით, რომ უკრაინის მხრიდან ხელშეკრულებებს ხელს უკრაინის დღევანდელი პრეზიდენტი, პოროშენკო აწერს, რომელიც მაშინ უშიშროების საბჭოს მდივანი გახლდათ. მოკლედ, ეს საერთაშორისო მაფიოზური დაჯგუფებაა, რომელიც ხელს ასეთი კონფლიქტებით ითბობს და მილიონებს შოულობს.

— ამ მაფიოზური დაჯგუფების შესახებ მსოფლიომ არაფერი იცის?

— ისე ნუ წარმოვიდგენთ, რომ დასავლეთში ყველაფერი კარგადაა და დასავლურ ბიზნესში რუსული კაპიტალი ჩართული არ არის. ყველაფერი ერთმანეთთან ფარულ კავშირშია, მით უმეტეს, თავის დროზე იმ შვიდ ბარონზე გელაპარაკეთ, რომელიც საბჭოთა კავშირიდან „გავიდა“. ვანო, თუ გახსოვთ, ისიც გითხარით, რომ იარაღის შავი ბიზნესის ამ შვიდ ბარონს სააკაშვილის ხელისუფლებასთან გარკვეული კავშირი ჰქონდა. ერთი სიტყვით, სააკაშვილის განცხადება, უკრაინის იარაღით მომარაგებას მონიტორინგს გავუწევო, ადასტურებს, რომ ის სქემები, რომლებზეც ამდენი ხანია, ვლაპარაკობ, შენარჩუნებულია და ამით ძალიან დიდი ფული გაკეთდება. არც ის დაგვაინყდეს, იარაღით ვაჭრობა ნარკოტიკის არალეგარულ ბიზნესთანაც კავშირშია.

— ესე იგი, კოტე ბატონო, შეიძლება, განდგეს გონივრული ეჭვი, რომ გარკვეული ძალები უკრაინის კონფლიქტს ხელოვნურად ჭიმავენ?

— ერთ-ერთი ფაქტორი, შესაძლოა, ესეცაა.

სხვათა შორის, ინტერნეტში უკვე ვრცელდება ინფორმაცია, რომ სეპარატისტებს იარაღით ბოროშენკო ამარაგებდა.

— რუს სეპარატისტებზეა ლაპარაკი?
— დიახ, რუს დომინანტ სეპარატისტებზე. მოკლედ, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გგონია. მინსკში ხელმოწერილი ხელშეკრულების არსიც ნათელია — სიტუაცია გაყინულ კონფლიქტამდე მივიდეს. გაყინული კონფლიქტი კი, ზემოხსენებულ საერთაშორისო მაფიას აწყობს. მიხეილ სააკაშვილი, პოროშენკო და ის ფრთაც, რომელზეც „ეფ-ბი-აი“ საქართველოში მოკვლევას აწარმოებდა და რომელიც მხოლოდ ოფშორულ ზონებში კი არა, აშშ-იცაა ფესვგამდგარი, ერთი საერთაშორისო მაციაა. ამ მაფიას აშშ და რუსეთი ჯერჯერობით თავიანთი ინტერესების განსახორციელებლად იყენებენ. ყველაფერ ამით კი, ევროპული ინტერესები ზარალდება.

— „ევროპული ინტერესების ზარალდება“ რას ნიშნავს?

— დავაკვირდეთ, რა ხდება: აღმოსავლეთის გაფართოვებულ პროგრამაში, „ევრონესტს“ რომ ეძახიან, ექვსი სახელმწიფოა გაერთიანებული და აქედან ხუთში გაყინული კონფლიქტია. შესაბამისად, ამ სახელმწიფოების ევროკავშირისკენ სწრაფვა შენელებულია. რუსეთის ინტერესში შედის, რომ უკრაინაში კონფლიქტი გაყინოს და ამით ხელი მხოლოდ უკრაინის კი არა, საქართველოს ევროინტეგრაციასაც შეუშალოს.

— ბატონო კონსტანტინე, თქვენი შეფასებები, უდავოდ, საინტერესოა, თუმცა ყურადსაღებია, რომ მინსკის შეხვედრაზე პუტინმა, სიმონისგან, ფანქარი გადატეხა. „ნორმანდიული ოთხეულის“ შეხვედრის შემდეგ კი, აღიარა, ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მშვიდი ღამე არ იყო. მაშასადამე, კრემლი გარკვეული დილემის წინაშე დგას, არ მეთანხმებით?

— კი ბატონო...
— პლანეტის შესახელმწიფოს, აშშ-ის პრეზიდენტმა კი, დაუფარავად განაცხადა, პუტინი საბჭოთა კავშირშია დარჩენილი...
— იმაზეც ბევრჯერ გვილაპარაკია, რომ

კანდიდატი

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა, იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრებმა და აფხაზეთის საკითხებზე მომუშავე ოცამდე არასამთავრობო ორგანიზაციამ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე ევა გოცირიძის კანდიდატურა წარადგინა, რომელსაც სისხლის, საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის პრობლემებზე ექვს ენაზე (სხუთ ქვეყანაში) 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. ევა გოცირიძემ აშშ-ში, მიჩიგანის შტატის უინის უნივერსიტეტში, საკანდიდატო დისერტაცია – „იმპიჩმენტი აშშ-ში – კონსტიტუციური დილემები“ დაიცვა, რომელიც მოგვიანებით წიგნადაც გამოიცა და ავტორს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. 2006 წელს კი, წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და საერთაშორისო სამართლის დოქტორის აკადემიური წოდების მფლობელი გახდა. გარდა ამისა, ქალბატონი ევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი თანაავტორია და, როგორც ყოფილი ადვოკატი, სტრასბურგის ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონტრაქტორადაც მუშაობდა. დისკრიმინაციის ფუძემდებლურ საკითხებზე მისი წერილობითი მოსაზრება საფუძვლად დაედო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებას და ამით დისკრიმინაციის საქმეებზე პრეცედენტი შეიქმნა. ევა გოცირიძის მიერაა შექმნილი „სასამართლო ეთიკის კოდექსი“, ასევე, კანონპროექტი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ. ამასთან, ქალბატონი ევა „მოსამართლეთა ფიცის“ ავტორიცაა. 2013 წლიდან კი, საქართველოს იუსტიციის საბჭოს პირველი შემადგენლობის პირველი წევრი ქალბატონია, რომელიც საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით თავის დროზე ერთ-ერთი პირველი გამოვიდა.

სტოკჰალმი

თბილისის საკრებულოში ჟურნალ „ცისკარი 1852“-ის პრეზენტაცია გაიმართა

განახლებული ჟურნალი დედაქალაქის მერიისა და საკრებულოს სრული მხარდაჭერითა და პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გამოიცა.

საკრებულოს თავმჯდომარემ მოწვეულ სტუმრებს ჟურნალის აღდგენა-განახლება მიულოცა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„მინდა, ჟურნალ „ცისკარს“ დაბრუნება მთელ საქართველოს მიულოცო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა, როგორც ჩვენი დედაქალაქის, ისე მთელი საქართველოს ცხოვრებაში. ჟურნალი „ცისკარი“ არ არის მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალი. ეს არის ჩვენი ერის სულიერების წყარო, რომელიც ქალაქს შაერით სჭირდება. ჟურნალი 1852 წლიდან გამოდის და მთელი სამი საუკუნე გამოიარა. ჩვენმა წინაპრებმა – გიორგი ერისთავმა და ივანე კერესელიძემ მასში სამშობლოს სიყვარულით ნაკარნახები პროგრესის სული და ემოცია ჩადეს. მათ ჩანაფიქრს საგანმანათლებლო მისია უნდა შეესრულებინა, გამოეღვივებინა ის ეროვნული ენერჯია და ცნობიერება, რომელიც, სამწუხაროდ, იმ პერიოდში მიძინებული იყო. ამ მისიას „ცისკარი“ კვლავაც გააგრძელებს და წარსულსა და მომავალს თანამედროვე, 21-ე საუკუნის გამოწვევების გათვალისწინებით, საკუთარ თავში შეაჯერებს“, – განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ.

როგორც ჟურნალის რედაქტორმა, ამირან გამყრელიძემ აღნიშნა, „ცისკარი 1852“-ის თავისი დანიშნულება და მიზანი არ შეუცვლია და საზოგადოებაში განათლების

დონის ამაღლებასა და ქართული მწერლობის პოპულარიზაციაზე კვლავაც იზრუნებს.

ჟურნალი „ცისკარი 1852“ გიორგი ერისთავმა დააარსა და პირველი ნომერი 1852 წელს გამოიცა. 1857 წელს კი, ჟურნალი ივანე კერესელიძემ განაახლა. პირველად სწორედ ამ ჟურნალში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ნაწარმოებები.

განახლებულ ჟურნალ „ცისკარი 1852“-ში დაიბეჭდება როგორც ადგილობრივი, ასევე, უცხოელი მწერლების ნაწარმოებები. ამასთან, დიდი ადგილი პროზას, პოეზიას, მხატვრობას, თარგმნილი ლიტერატურასა და მწერლობის სხვადასხვა სფეროს დაეთმობა.

ჟურნალში დასაქმებული არიან აფხაზი და ოსი მწერლები. დაგეგმილია მოთხრობების შერჩევა, რომლებიც ოსურ, აფხაზურ და ქართულ ენებზე ითარგმნება.

„ცისკარი 1852“ დიდ როლს შეასრულებს ახალგაზრდა პოეტების, მწერლებისა და მხატვრების გამოვლენაში და პოპულარიზაციაში.

პრეზენტაციას საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, დედაქალაქის მერი დავით ნარმანია, საკრებულოს დეპუტატები, დედაქალაქის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები, ჟურნალ „ცისკარი 1852“-ის რედაქტორი ამირან გამყრელიძე, ასევე, ლიტერატორები, პოეტები და მწერლები დაესწრნენ.



პრობრაზა, რომლითაც ევა გოცირიძე უზენაესი სასამართლოს მართვას აპირებს

ევა გოცირიძე: – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატის მიმართ ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა აპოლიტიკურობაა, რასაც სრულად ვაკმაყოფილებ, თუმცა ყოველთვის აქტიური მოქალაქე ვიყავი და ჩემი მდიდარი პუბლიცისტიკაც, რომელიც 2008-2013 წლებით თარიღდება, ამის დასტურია. ჩემი ინტერესი ადამიანის უფლებების კონსტიტუციური მოწყობისა და მოქალაქეობრივი პოზიციების გამოხატვის საკითხები გახლდათ. კრიტიკული წერილები სამი პრეზიდენტის წინააღმდეგ მაქვს გამოქვეყნებული. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მდიდარი წინა ხელისუფლების პერიოდი. დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში კი, გამოვყოფ ჩემს ნააზრევს კოჰაბიტაციის საკითხებზე – მიმაჩნია, რომ დასავლეთისთვის ბევრი რამ გაუგებარია. იმ პირთა მიმართ, ვისთანაც ხელისუფლებას შეკითხვები აქვს, სწორი სამართლებრივი შეფასებების გაკეთებაა საჭირო.

...კონსტიტუციაში დღესაც ბევრი კანონი და საკმარისი ბერკეტი, რათა ყველაფერი სამართლებრივად წარიმართოს, თუმცა მიმაჩნია, რომ ძალიან ბევრი რეფორმაა ჩასატარებელი. საუბარია არა კანონის გაუმჯობესებაზე, არამედ, იმაზე, თუ როგორ იქნება გამოყენებული კონსტიტუცია. წლების განმავლობაში, კონსტიტუცია და სასამართლო კოდექსი ფეხქვეშ იყო გათვლილი. ახლა კი, მეორე უციდურესობაში ჩავცივდით – თუკი ადრე მოსამართლეებს დაბალი ხარისხის დამოუკიდებლობა ჰქონდათ, ამჯერად, ეს ხარისხი ამაღლდა, მაგრამ სამშინა, ბოროტად არ იქნეს გამოყენებული, რასაც სერიოზული, მაღალი კონტროლი, სწავლება და გამოცდილება სჭირდება. თუკი სასამართლოს სრული დამოუკიდებლობა პასუხისმგებლობით არ იქნა განმარტებული, თვითნებობის ძალიან დიდი რისკები არსებობს. ამიტომ, როცა დამოუკიდებლობაზე ვლაპარაკობთ, ამავდროულად, ამავე ხარისხის სასამართლო პასუხისმგებლობაზეა საუბარი. უზენაესი სასამართლო ვალდებულია, უზრუნველყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა და ის გარე ზეგავლენებისგან დაცვას, თუმცა ეს თავად მოსამართლეების სურვილიც უნდა იყოს. ბევრჯერ მსმენია მოსამართლისგან, რომ არ ვიცოდეთ, როგორი გადაწყვეტილება მიეწონ-



ება ხელისუფლებას, ალბათ, გული გამისკდება. დაბალ პროფესიულ და სიახასის არმქონეს ურჩევნია, ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, რაც „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ეამებათ. ასეთ სიტუაციაში მოსამართლე უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, ვიდრე – მაღალი პასუხისმგებლობის პირობებში გაბედული გადაწყვეტილების მიღებისას. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ჩემი არჩევის შემთხვევაში, მოსამართლე დარწმუნებული იქნება, რომ მხოლოდ სამართლიანობა იქნება მისი ხელშეუხებლობის გარანტია.

შეგახსენებთ: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის სურვილი 28 ადამიანმა გამოთქვა. აქედან, ერთ-ერთს პრეზიდენტი პარლამენტს დასამტკიცებლად 23 თებერვლამდე წარუდგენს. „პოლიტიკოსები, ბუნებრივია, ყოველთვის ვართ დამოკიდებული მიმდინარე მოვლენებზე, ხშირად, ძალიან ხშირად დამოკიდებული ვართ საზოგადოებრივ აზრზე, მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებებზე, მაგრამ ის, რაც ასტაბილურებს ამ ძალიან ცვალებად გარემოს და გარემოებებს, რეალურად სასამართლო ხელისუფლებაა“, – მიიჩნევს გიორგი მარგველაშვილი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატებს შორის არიან პარლამენტარები ზაქარია ქუცნაშვილი და შალვა შავგულიძე, ასევე, ყოფილი მოსამართლე ნინო გვერდიანი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე ანა დოლიძე და ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული. ენახოთ, პრეზიდენტი ვის აირჩევს...

ნათია გოგიტიძე

გამოხმაურება

რა რეაგირება მოჰყვა „ქართულ სიტყვაში“ გამოქვეყნებულ სკანდალურ ინტერვიუს

ორი კვირის წინ, „ქართულ სიტყვაში“ ჟურნალისტ ზაირა მიქაძაძესთან ინტერვიუ – „როგორ შეაღწია ქართველმა ჟურნალისტმა რუსებისგან ოკუპირებულ აფხაზეთში“ – გამოქვეყნდა, რომელსაც სახელმწიფო უწყებებისგან გამოხმაურება მოჰყვა: გაზეთის გამოსვლიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ზაირა ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილებაში მთავარ სპეციალისტად დაინიშნა.

„თავდაცვის სამინისტროდანაც დამირეკეს და ჩემს მიერ დაფუძნებულ სამხედრო-პატრიოტულ ჟურნალ „მეცხოვესთან“ დაკავშირებით შეხვედრა შემომთავაზეს. ორი წელია, თავდაცვის სამინისტროს კარს ვამტკრე და გარდა იმისა, რომ მხოლოდ ჟურნალის 20 ეგზემპლარი გამოიწერეს, მეტს ვერაფერს მივალნიე. ახლა კი, მეუბნებიან, რომ ჟურნალი ძალიან მოსწონთ – ჯარისკაცებში პატრიოტიზმის ასამაღლებლად და მათი მოტივაციის გასაზრდელად სასარგებლოა. თავდაცვის სამინისტროს სურვილი აქვს, ჟურნალი ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურთან ერთად გამოიცეს, რაც ძალიან სასიამოვნო და მისაღებია. მიმაჩნია, რომ ომის ვეტერანი და ჯარისკაცი, ერთად აღებული, შეიარაღებული ძალების ხერხემალია. ჯარისკაცი ვეტერანთა საქმეებზე უნდა გაიზარდოს. ვეტერანებმა კი, თავიანთი გამოცდილების გაზიარებით, ხელი ჯარისკაცის მეორად ჩამო-

ყალიბებას უნდა შეუწყონ. ერთი სიტყვით, ამ ორი უწყებიდან გამოხმაურება თქვენს გაზეთში დაბეჭდილ ინტერვიუს დაემთხვა, თუმცა ვფიქრობ, რომ ეს უბრალოდ დამთხვევა არაა – გაზეთის გამოცვლის დღეს, ჩვენმა კოლეგამ, ოთარ ქირიამ, „რუსთავი 2“-ზე, პრესის მიმოხილვისას, დიდი დრო დაუთმო „ქართულ სიტყვაში“ დაბეჭდილ ინტერვიუს და აღნიშნა, რომ ამ სტატიის ნაკითხვა ყველა ადამიანისთვის სავალდებულოა. ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის და თავდაცვის სამინისტრო ჩემს მიერ შეთავაზებული პროექტითა და ინტერესდნენ, რაც თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას გულისხმობს, ანუ ერთობლივად აღვნიშნავთ მემორიალურ თარიღებს, შემოქმედი ჯარისკაცებისა და ვეტერანების მონაწილეობით, პოეზიის საღამოებსა და გამოფენებს მოვანწყობთ“, – აცხადებს ზაირა მიქაძაძე.

ნათია გოგიტიძე



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

კარინა ლუცინაძე

საქართველოს მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული ცენტრი

პროზა

XI იყოფიანდა, ცისკარი სულს ჰლევს, თანდათან ჰქრებოდა, – ნეტავი ყველა ლამაზსა ესრე სიკვდილი ჰხედებოდა!

XII გადვიდენ ალაზნის თავსა, მთების წვერები ჩნდებოდენ. საცა გაჰხედავ, ყოველგან გასაშტერონი დგებოდენ:

XIII ლაშქარი შედგა ცოტა ხანს, ხმა გამოისმა კითხვისა: „კაცნო, კვირია რა გვექნა?“ ყველა ამასა სჩივისა.

ლაშქარი შედგა ცოტა ხანს, ხმა გამოისმა კითხვისა: „კაცნო, კვირია რა გვექნა?“ ყველა ამასა სჩივისა.


ლ უ ხ უ მ ი კაცნო, რას ამბობთ ნეტარა? რად ჰგრეხთ დიაცებრ ჭორებსა? ფარ-ხმალით მოკაზმულები აპკიდებისარა ჯორებსა!

ლ უ ხ უ მ ი ფიქრმა თვითონ სთქვა, რაცა ვსთქვით, ეს ნურვის გაუკვირდება; ყველაც კი იტყვის ამასა, ვინც საქმებს დაუკვირდება.

XIV ნაქერალაში დამდგარან თუშები თექიანები, გულ-შაუდრეკნი ომშია, ლაშქრობას ბედნიანები.

ლ უ ხ უ მ ი სადა გყავთ, თუშნო, ზეზვანი, რად არ მაჩვენებთ თვალითა? მე-დ იმან უნდა ვიომოთ, ნაქებ რო არი მკლავითა.

ვაჟა ფშაველა ბასტრიონი



შველის მაგივრად, თავხედსა ჩვენივე სისხლი სწყურია! ზეზვამ მყის იცნო ძმობილი, ვეფხვი ხმალ-და-ხმალ წავიდა,

ეს არის ჩვენი ბედი. ზ ე ზ ვ ა მეც მაგონდება ბევრი რამ, ერთი კი უფრო ცხადადა: ერთხელის, საბუის ბოლოს,



საქართველო
საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კონსტანტინე

პროზა

ხალხური



იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ზარმაცი და მუქთამჭამელი კაცი. ცისმარე დღე კერასთან იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ქექავდა. სწორედ ამიტომ ხალხმა ნაცარქექია შეარქვა.

ნაცარქექიას კარგი მოეჯახბე მებეი ჰყავდა.

კაცო, სულ რომ ნაცარს უზიხარ, ან ჭამა არ გინდა, ან სმა, – ეუბნებოდნენ ყოველდღე, – ადექი, გაისარჯე, იქეთ მიდექ, აქეთ მოდექ და ოჯახში რამე შემოიტანე, თორემ იცოდე, ჩვენ შენი რჩენის თავი აღარ გვაქვს და სახლიდან გაგაგდებთო, მაგრამ ნაცარქექია ძმების მუქარას ერთ ყურში რომ შეუშვებდა, მეორედან გამოუშვებდა. მობეზრდათ ძმებს მისი უსაქმურობა და ერთ მშვენიერ დღეს მართლაც გააგდეს სახლიდან. ერთი ხბოს გუდა ნაცრით გაუტენეს და ზურგზე აპკიდეს, ხელში ჩხირი მისცეს, ჩოხის კალთაში საგზულად ჭყინტი ყველი გამოუხვიეს და გაისტუმრეს. თან გააფრთხილეს:

– ამ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გაშორდი, აქ არ დაგიგულოთ, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებთო.

– კარგო, – უთხრა ნაცარქექიამ, – ვეცდები, რაც შეიძლება შორს წავიდეო და გაუდგა გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს, ერთ უშველებელ მდინარეს მიადგა. შეეშინდა ნაცარქექიას წყალში გასვლისა და მდინარის პირას მხარეთქოზე წამოწვა, იქნებ ვინმემ გამოიაროს და გამიყვანოსო.

თურმე, ეს მდინარეცა და ადგილიც ცხრათავიანი დევის სამფლობელო ყოფილა. საღამო ხანზე მოადგა დევი გაღმა ნაპირიდან მდინარეს და დაუნყო წყალს ხვრება.

დაინახა ნაცარქექიამ და ხაფი ხმით გასძახა:

– ჰეი, რომელი ხარ, ახლავე აქ გამოდი, მხარზე შემისვი და გაღმა გამიყვანე, ფეხის დასველება მეზარებაო!

დევის ძალიან გაუკვირდა, აქ ჩემი შიშით გოლიათებს ვერ გაუვლია და ეს ჭინჭრაქარის პატრონია, ამას რომ მიბედავსო და გამოსძახა:

– ვინა ხარ, რა სულიერი ხარ და მაგ თავხედობას როგორ მიბედავო?

ნაცარქექია დიდი მკვებარა და ბაქიბუქაც იყო. შორიდან ისეთ ტრაბახს ატეხდა, რომ კაცს გორის მდრეკავი ეგონებოდა. შემოიყარა დონიჯი და გასძახა დევის:

– აი, შე ქინქლავ, შენა! ერთი არ მებრალეზოდე და გიჩვენებდი, ვინცა ვარ, მაგრამ იცოდე, თუ ჭკუით არ იქნები, ასეთ თავხედობას მეორედ აღარ გაპატიებ. შე ბრიყვო და ბაბაყურო, ხაბირიკა არ გაგიგონია, ნაცარქელაპია, ჩხირით მებრძოლი? მე სწორ-

ქ დისა ვარო! არ

მინდა ქვეყანა დავაქციო, თორემ ისეთი ღონე მაქვს, დედამინას რომ ხელი მოვაგლო, ზეცას შევტყორცნი და ნაცარმტვერად ვაქცევო. თუ გინდა შევეჯიბროთ და ერთმანეთი ღონეში გამოვცადოთ! შენ მანდ აიღე ქვა, მე აქ ავიღებ, მოვუჭიროთ ორივემ ხელი და, ვინც წვენი გააღინოს, გამარჯვებულად ის იყოსო.

აილო დევა ქვა, მოუჭირა ხელი და სულ დაფშვანა, მაგრამ წვენი ვერ გამოაღინა.

დაინახა ნაცარქექია, ვითომ ქვას ვიღებო, ამოიღო ჩოხის კალთაში გამოხვეული ჭყინტი ყველი, მოუჭირა ხელი და წვენი სულ წურწურით გააღინა.

გაუკვირდა დევის, ეს ვინა ყოფილაო?

– აბა, ახლა სირბილში გამოვცადოთ ერთმანეთი, – გასძახა ნაცარქექიამ, – გავიქცეთ რიყეზე, შენ – მაქეთ, მე – აქეთ და ვინც მეტ მტვერსა და კორიანტელს აადენს, ბიჭიც ის იყოს და ქუდიც იმას ეხუროსო!

გაძუნძულდა დევი იქითა ნაპირზე და რიყის ქვეშ სულ ხრახუნებში დააწყებინა, მაგრამ მტვერი ვერა და ვერ ააღინა. რიყის ქვეშ ან რა მტვერი აუვიდოდა!

ნაცარქექიამ კი, მოიხსნა ნაცრიანი გუდა, გაკუნკულდა ნაპირზე და თან ნაცარი მიმოაბნინა. ისეთი მტვერი და კორიანტელი ააყენა, რომ დევა ველარაფერი დაინახა.

შეშინდა დევი, ეს მართლაც უძლეველი კაცი ჩანსო, თქვა გულში და გაღმა ნაპირზე გავიდა, მორჩილად ეახლა ნაცარქექიას, დაიღუნა და მხარზე შეისვა. შუა მდინარეში რომ შევიდნენ, დევა, როგორც იქნა, გაუბედა და ჰკითხა:

– ბატონო, ხაბირიკავ, ნაცრიელაპიავ და ჩხირით მებრძოლო, ასეთი ღონის პატრონი, როგორღაც მეტისმეტად მსუბუქი მეჩვენებო.

– რო? მსუბუქი? ხა, ხა, ხა, – გადაიხარხარა ნაცარქექიამ, – შენ რომ ჩემი სიმძიმის ამბავი იცოდე, მაგ სისულელეს აღარ წამოროშავდი. რაკი დედამინას ჩემი ტარება უჭირს, ცაში ღმერთს უხილავი თოკით ვუჭერივარ, თორემ ჩემი სიმძიმე ქვესკნელში ჩაგიტანდაო.

დევის ეჭვი შეეპარა, ამ ერთ ციქვანს ისეთი რა სიმძიმე უნდა ჰქონდესო, და ნაცარქექიას მოკრძალებით უთხრა:

– აბა, ასძახე ღმერთს, რომ სულ ოდნავ შეგიშვას ხელი, მინდა შენი სიმძიმე გავიგო.

– ღმერთო მწყალობელო, აბა, ცოტათი მოუშვი თოკი, რომ ამ ბრიყვსა და აყვიას ენა დავამოკლებინო! – ასძახა ცისკენ ნა-

დევის ეგონა, მთელი ზეცა ზედ დამანჯვარო და შეშინებულმა, მართლა ქვესკნელში არ ჩამაძვინოსო, ხვეწნა დაუნყო:

– შენი ჭირიმე, უთხარი ღმერთს, ისევე აგნოსო, თორემ მეტის ატანა აღარ შემიძლიაო.

მოაშორა ნაცარქექიამ ჩხირი და დევიც ისევე გაიმართა ნელში.

– ახლა ხომ დარწმუნდი, რა სიმძიმეც მქონიაო? – ჰკითხა ნაცარქექიამ.

– მართლაც, მეტისმეტად მძიმე ყოფილხარო, – უპასუხა დევა და შინ მიიპატიჟა.

ნაცარქექია ტახტზე დასვა, თვითონ კერა გაახურა და ცომი მოზილა. გააკეთა ერთი უშველებელი ხმიადი, ჩადო კეცში, ცეცხლს მიუფიცხა და ნაცარქექიას უთხრა:

– თუ უკაცრავად არ ვიყო, ამ პურზე თვალი გეჭიროს, რომ არ დაინჯავს, მე ტყეში წავალ და საჯახმოდ ბარემ ნანადირევსაც მოვიტანო.

დევი წავიდა. ხმიადს ცალი გვერდი რომ დაებრანა, ნაცარქექიამ იფიქრა, ახლა კი გადაბრუნების დროაო და დაუნყო საკეცით წვალეზა. წვალეზა-წვალეზაში კეცი წამოიქცა და ნაცარქექია ქვეშ მოიყოლა.

წვალეზის ნაცარქექია, აფხარკალებს ფეხებს, ხვეწმის, ოხრავს, ქშინავს, მაგრამ კეცს ძვრას ვერ უშვრება. დაიღალა და შეშინებულმა ფერიც დაკარგა.

მოვიდა დევი და, ნაცარქექია რომ ამ ყოფაში დაინახა, გაკვირვებულმა ჰკითხა:

– რა დამართნიაო?

– რა უნდა დამართნოდა? – შეუტია ნაცარქექიამ, – ცოტათი მუცელი წამომტკივდა და ცხელი კეცი დავიდევი. ახლა უკვე კარგად ვარ, მოდი და ამაცალეო.

დევა კეცი ააცალა და ნაცარქექიაც წამოდა.

ხმიადი გამოცხვა, ნანადირევიც მოხარშეს და ეახშამს შემოუსხდნენ. პურის ჭამაში დევა ცხვირი დააცემინა და სტუმარი ქერში შეაგ-

დო. გულგახეთილი ნაცარქექია თავსეს ჩაეჭიდა და ფხარკალი დაინყო.

– მანდ რას აკეთებო? – ჰკითხა დევა.

– რას ვაკეთებ და, აი, ეს წკებლა უნდა გამოვიღო და გვერდები აგიჭრელო, როგორ გაბედე ჩემთან ცხვირის დაცემინებო?!

– ღმერთო, ეს ვინა ყოფილა?! – გოცდა დევი, ამოდენა თავზე მე ძლივს ბოძებზე ავიტანე და ეს კი წკებლას ეძახის და გამოძრობას უპირებსო. აქაურობას თუ არ გავეცალე, ერთხელაც იქნება, რამეს მიშარებს და ცოცხალი ველარ გადავურჩებიო, – დაჰკრა დევა ფეხი და ცხრა მთას იქით გადაიხვეწა.

დევის სახლ-კარი და სიმდიდრე მთლიანად ნაცარქექიას დარჩა, წავიდა, ძმებაც იქ მიიყვანა და უთხრა:

– ძმებო, მუქთახორობისათვის თქვენ სახლიდან გამაგდეთ, სულ იმას მაყვედრიდით, ოჯახში არაფერი შემოგაქვსო. აი, ახლა ჩემს წილად ეს სახლ-კარი და ქონება-ცხოვრება შემომაქვს, ეს ყველაფერი თქვენთვის დამითმია, ოღონდ ლუკმაპურს ნულარ დამაყვედრით და ნურც ნაცრის ქექვას დამიშლითო.

გადაულოცა ნაცარქექიამ დევის სახლი და სიმდიდრე ძმებს, თვითონ კი აილო ჩხირი, მიუჯდა კერას და ისევ ნაცრის ქექვა დაინყო.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.



„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა!“

კარინა ლინჩი

საქართველო. საქართველო. საქართველო.

ახალი ლექსები



მინა ჩაჩხაძე

სიტყაზე მისინა...

შენი სული ცისფერია, ჩემი სული – ვარდისფერი, და ცხოვრების მისტერია – მუქი იასამნისფერი. სიყვარული მზისფერია, სიძულვილი – ყორნისფერი, და გრძობათა იმპერია – აალებულ თონის ფერი. სიტყაზე მისინა, გაუშლელი კვირტის მშლელი, მოხუცობა დაისია, მხრებით ზიდავ და ვერ შევლი... თუმცა წლებმა რა იციან, გულმა გვითხრას დანარჩენი, შენ თუ გიყვარს, – მისინა, და თუ მასაც, – გადარჩები!...

ხეპს ლენავენ მარტის ძარბი

ვიცი, წამლევას ეს გაზაფხული და ბუმბულივით ქარი წამილეს, გამომიტიყუებ ისე, ვით მარტი კვირტებდაუსკდარ ტყემლის ყვავილებს. მერე აპრილი გაშლის პალიტრას, მოაფერადებს ირგვლივ ბუნებას, აამძვინვარებს ვნებას მისი, და დაგერქმევა სიტყვა ცდუნება. იენისიც მოვა, მოვა აგვისტოც და გახუნდება გრძობის ფერები, ვნებადამცხრალი სიყვარულივით სულ სხვა სინაზით მოგეფერები... ხეებს ლენავენ მარტის ქარები, შევლად მიხმობენ ტოტები ჭადრის, კმარა ლოდინი, მოგეპარები და კვლავ შენს გულში მოვებნი ადგილს.

შენს ნაკვალევს ნავშლი

ისევ ჰყვავის ატამი, დამნიფდება ბლები, სიყვარული ადამის?! – ეგ ყოფილა ბლეფი. შენ გაჩუქეს სხეული, მე მომიგდეს ნეკნი, ამიტომაც ეული შენს ნაბიჯებს ვტკეპნი. თრთის ზამთარში ბელურა და მიტყდება ძილი – რატომ ჰქვია კენურას აკრძალული ხილი?! შენ ვერ დათმე ედემი, მე ჩამიტყდა ხიდი, შენკენ ქრიან გედები, მე სიყვარულს ვყიდი. ლობე-ყორეს ვედები, შენი იყოს, გითმობ, მიითვალე ედემიც... ცივ სარცევს ვითბობ. სისინებენ გველები, კვლავ თვალს მიკრავს ვაშლი, ცრემლით მორწყულ ველებით შენს ნაკვალევს ნავშლი... აყვავდება ატამი, დამნიფდება ბლებიც, სიყვარული ადამის?! – ეგ ყოფილა ბლეფი!

ვირ ვინსენა

ზამთრის ლოლუ-ყინულები ცრემლებივით დნებიან და ამოა გაზაფხული თვალში მომჩერებია. აფეთქებულ ხის ტოტებზე ჟღერტულეზენ ჩიტები, შეიფოთლენენ ხეები და აელვარდნენ ტიტები. სისხლმა ჩქროლვას მოუმატა: ვერ ვიხსენებ, მიყვარდა? თუ მიყვარდა, რად არ მახსოვს ან რად გადამიყვარდა?! რად არ მახსოვს მოფერება, ტკბილზე ტკბილი ამბორი? არ ვენდობი ყურმოკრულს და არ ვენდობი გაგონილს. არც ის მახსოვს, ოცნებების წიგნს თუ ვაფრიალებდი, ღმერთო, ბოლო გამახსენე – იმ ერთ ჭიქას დავლევდი. ჰოი, როგორ გახარჯულა გრძობით საცხე სკივრები, აღარ მახსოვს, დავაპურე გულიანად მშვირები?! დავრჩი ასე გაძარცვული, დრომ ტლინკები მიყარა, ვერ ვიხსენებ, მე უარყვავ თუ მან გადამიყვარა?!

მაცხოვრის მონოლოგი

თენდება, მესამედ იყვილებს მამალი, დამთავრდა, არსაით არ ველი შენდობას, მე თქვენთვის მინდოდა საზრდო და წამალი, ცუდია, როცა კაცს კაცი არ გენდობა. მე ვიცი, სად მიდის ეს ჩემი აღმართი, ცრემლები არ გინდა, დედაო მარია, ზურგზე რომ მკიდა – ეს ტვირთი არ არის, ეს ჩემი საზიდი მაცხოვრის ჯვარია. გათენდა, მესამედ იყვილა მამალმა იუდა თვალებით ერთ წერტილს მიესო, მთვარეცა მოასწრო ღრუბლებში ჩამალვა, ზეციდან მომესმა მამის ხმა – იესო!... სული ხორცს გაყრილი ზეცისკენ აიჭრა, სხეული მიწაზე დატოვა ხუნდებით, ოღონდ თქვენ მინატრეთ, ოღონდ თქვენ მინატრეთ!... მე დაგიბრუნდებით...

სულს ავუნთი კელაპტარი

ირგვლივ ეშმას ხარხარია, ძალას იკრებს იუდა, სულს ავუნთე კელაპტარი, გამიეკლესიურდა. ნაბიჯ-ნაბიჯ მოვიარე ჩემი მთა და ველები, მტკაველ-მტკაველ მიწა ვკოცნე მტრისგან განახლები. ღმერთმა რად არ გამაჩინა ქეთევანად, თამარად, ხედავთ, ქვეყნის სიყვარულმა როგორ გამათამამა. ბევრი მსურდა, ვერ შევძელი, ვერა, სულ და გული, დედისერთა გაგიზარდე შენს მსახურად, მამულო... საშველს ვეძებ, ხარხარია, ძალას იკრებს იუდა, სული, ხელში უფლის სანთლით გამიეკლესიურდა.

ეს ძვირანა უყვარდა და...

აფიროსმანებულ დილას, აზვირთებულ მეცხრე ტალღას, ფატად თეთრი ღრუბლის ფთილას, არა! – სიყვარულით დაღლას. ქარვისფერად ჩამაჭრებას, პატარძლებად მორთულ ტყემლებს, სიყვარულში გამარჯვებას, უარყოფის ცხარე ცრემლებს. მორღიალე თერგს და არაგვს, ცად აღმართულ კავკასიონს, სილამაზეს, მტერს რომ ზარავს, სალოცავად ჯვარს და სიონს. მინდვრად გაშლილ თუშურ ფარდას – მოდუდუნე მტკვარს და რიონს, ეს ქვეყანა უყვარდა და ამღერებდა გალაკტიონს... აფიროსმანებულ დილას, აზვირთებულ მეცხრე ტალღას, ფატად თეთრი ღრუბლის ფთილას, არა! – სიყვარულით დაღლას.

უზნოდ...

უშენოდ ჩამქრალა მარტის მზე, უშენოდ ყვავილობს მისი, უშენოდ დამჭკნარა ნატრის ხე, უშენოდ დამდგარა დაისი. უშენო ფერი აქვთ ვარსკვლავებს, არ ყივის მამალიც უშენოდ, და ამ გულს უშენოს, ნანამებს არ ვიცი, რით უნდა ვუშველო. უშენოდ ცხოვრება გასულა, არ მესმის შრიალი ფოთოლთა, როგორ გადავიტყე წარსულად, ვხედავ, რომ უშენოდ მოთოვდა. ვეჩვევი მარტისულ სიარულს, მაგრამ მე სხვა რამე მადარდებს, რა ვუთხრა უშენო სიყვარულს სხვისთვის რომ ხურავდა დარბაბებს. უშენოდ თევზი ვარ უწყალო და საზრდო არა აქვთ ლაყურებს,

თვალეები დაინდე, კურცხალო, ნუ სტირი, თუ ცრემლი გაყურებს?! უშენოდ ფური ვარ, ირემი, მოგბლავი და ტყე-ტყე დაგეძებ, ვერ გხედავ, დარდისგან ვილევ, ვერ ვანვდენ შენამდე საცეცხს. უშენოდ სამყარო ბლანტია და ფილტვი შენს სუნთქვას თხოულობს, მომასხეს ერთგულის მანტია, ვინა თქვა „ვინც ეძებს, პოულობს“. არ ვიცი, მისის ყვავილებს ვინ გააფერადებს უშენოდ და ზამთარგამოვიღე დაღლილებს უშენოდ რა უნდა ვუშველო! მე არა, სწყურისხარ ოცნებას, იმედად შენ მყავხარ, ფურცელო, ამ ვნებამორეულ გაზაფხულს მასწავლე, როგორღა ვუშველო!...

იყლა ჩაკვეტაძე

გვამხნევიან წარსულიდან

(ნანყვეტი პოემიდან)

ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა, გაგვანებვირა წალკოტი... თუ ერის კაცი გამოჩნდა, მივესევით და დავკორტინო.

I ცხოვრება ნამიერი, რწმენა სულის გადამჩენი, იმერთან ამიერი მისასვლელი გზა ჩვენი... სიცრუის თქმა მეჯავრება, სიმართლე კი დაგვიკოჭლდა, გამოვიდა – თავის მოჭრა. ერთად ყოფნა გაგვიჭირდა, ვერ დაძლია ერთმა შარი, მორღვეული კარიბჭიდან მთვარე გვიცქერს ცრემლგამშრალი. მთის ბინული პეშვით შევსვი, ცივია და ტანში გამცრა, ფსევებს იდგამს ბილნი წესი: ქალი-ქალთან, კაცი-კაცთან. გარყვნილებამ დასცა რომი, სინანული გვიანია, დღეს კაცობის გასაზომი ჩადენილი სიავეა. გამოვალე დარაბები, გარეთ ისევ ღამე ვნახე, კვლავ გვმართავენ არაბები, საბაღეს და სავენახეს. სხვები მკიან ჩვენს ყანაში, ბატონებად ვისვამთ მდგმურებს, უპატრონო ქვეყანაში ბოროტება ისადგურებს. ნისლი ჯანლის ამქარია, ზეცას მზერა დაუბინდეს, დაუდევარს, თავქარიანს, ნუ მივანდობთ მამულის ბედს.


II მიმსუბუქებს მწუხარებას, წარსული არ იკარგება, დაიმკვიდრეს უკვდავება, თავდადებით წინაპრებმა. შუშანიკის მწამებელი, უღელტოლი ვარსკენია, აქვითინდა მწარედი ვერი, აქ წმინდანი ასვენია... არ ვამადლი ამბორს შვილებს, მინდა მინდორ-ველი მათთვის, ქეშმარიტი რწმენისათვის... გულში ცეცხლის ბორგავს ალი, სიკეთის გზა ხილულია, სამოთხეში გორგასალი რომ ეძმობა ჟიულია... ქართულ გმირთა მოგონებით პაპამ მზარდა მადლიანმა, გააოცა მოგოლები

თავდადებით დადიანმა... ასიათას მონამეთა გზა ფიქრებით გამივლია, ვერ მოვასწარ – ლოცვა მეთქვა, სისხლი უკვე დაღვრილია.

III გაივლია, ცა დაბასრა, ცრემლი ტბორავს დედამინას, ვერ გატყნა შაჰ-აბასმა, ქეთევანი რწმენას იცავს... წმინდა ჯვარი ვინც აღმართა, ხალიბურს არ გვიღვრებდა, თავდადება წინაპართა ერში დარჩა სიმღერებად.

IV ხმალი ვნახე ერეკლესი, უფანგავი – ხალიბური, ავამღერე მერე ლექსი, დავამარცხე ღამის რული... გაზაფხულის მშვიდი დღეა, ნუ გახუნდებით უკარება, ბევრი შვილი სიმდიდრეა, ოქრო – ვერცხლი – მწუხარება. ვინც მოყვასთან დავას ფიქრობს, მე ისეთ კაცს რა ვუთხარო! ჭკუა სხვას რომ დაარბიო, უნდა გქონდეს საკუთარი. მახვშებს ვუსმენ, ვამაცდები, სიბრძნის სწავლა არ არს გვიან, მამულს რომ ჰყავს ვაჟკაცები წინაპრების ამგაია.

მთაზე ბლიკს ავუყვები, ვნატრობ ერის აღზევებას, პატარაა გაურყვნილი, არ შევცოდოთ აღმზრდელებმა. რწმენა სულის იმედი, როგორც ვაზის გაზაფხული, ოჯახი თუ ძლიერია, ერს წელი აქვს გამართული... ცხარე ცრემლი ვალგარღვართო, – არა წესი ვაჟკაცური, თუ გვსურს შევსვათ გაღმა წყარო, მორვეია გასაცური. სხვის მამულზე მონადირე, ეშმაკი და ვერაგია, არ გვეგონოს მოვა ვინმე და იბრძოლებს ჩვენს მაგივრად. მომხდურისგან კარგს არ ველი, არ გვაქვს მინა დასაკარგი, მომავლის გზა გასაცვლი, ანმყოშია გასაფი. ლაჩარი ვერ მალავს სახეს, არ შეისვამს მონას რაში, ვინაც ანმყოს ატალახებს, ვერ მოხვდება მომავალში. ეს ცხოვრება კვლავ გვახსოვდეს, დღის და ღამის ჭიდილია, არ მოვშალოთ არასოდეს, მზის და ზეცის იდილია.



საქართველოს პარლამენტი

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა!“

კონსტანტინე

მსკლუნი

„შვანის საძიებო ერთი წინადადება რომ ვთქვა, ამაფეთქებინ!“

2004 წელს, სვანეთში, კერძოდ, სოფელ ეცერში ჩატარებული სპეცოპერაციის საქმის გამოძიებით, აფხაზეთის კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი, პოლკოვნიკი ბათუ (ბათალი) სალინაძე ისევ ავტალაში, ე.წ. სპეცდანიშნულების რაზმის კოტეჯების მეზობლად ცხოვრობს. „სამეზობლო ღობეს“ მავთულხლართი „ამშვენებს“. „ამ მავთულების გამო ხეივანს ვეღარ ვუვლი. ისე, საქართველოში ასეთი დაცვა არავის ეყოლება, რაც მე მყავს — კოტეჯის ეზოში დღე და ღამე დაცვა ტრიალებს“, — შემომჩივლა ბათუ სალინაძემ და საუბარი ფარული მოსმენებით დაიწყო:

— ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით ბევრი ხმაური იყო. ბიძინა ივანიშვილი ამბობდა, მეც კი მოსმენენო. როგორც ჩანს, ასეა.
— ამას რატომ ამბობთ?
— გარდაცვალებამდე იური ვაზაგაშვილმა ბატონ ბიძინას იმ პირთა სია მიანიშნა, ვინც, მისი აზრით, შვილის მკვლელობაში მონაწილეობა მიიღო. მითხრეს, ყოფილი პრემიერი ისე ადელდა, იური იქით აწყნარებდაო. ივანიშვილის რეზიდენციიდან გამოსული ვაზაგაშვილისთვის ხელისუფლებას დაცვა უნდა დაენიშნა და ეს ტრაგედია არ დატრიალდებოდა.
— ბატონო ბათუ, რა ამის პასუხია და, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებაზე ვერსია გაქვთ?
— ყველაფერი, რასაც ჟვანიას გარდაცვალებაზე აცხადებენ, სისულელეა! ზურაბ ჟვანიას საქმე, პრაქტიკულად, გახსნილი მაქვს, მაგრამ საკმარისია, ერთი წინადადება ვთქვა და, ალბათ, მეც ამაფეთქებენ!
— ვის გულისხმობთ?
— „უფლებადამცველთა ლიგის“ წევრებს...



გენერალ ღვთისმშობელს თვითმკვლელობისა და ლევან კალაძის საქმის საილუმო — კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსის სკანდალური ინტერვიუ

ჩემი საქმე ქურდულად განიხილა.
— „ქურდულად განიხილა“ რას ნიშნავს?
— არც მე შემატყობინეს, არც — დაცვას. მიმართა, რომ ეს ნულუკიანისა და ნონა წორიას ოინებია.
— ნონა წორია ვინ არის?
— საქართველოს წარმომადგენელი მოსამართლე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში, რომელმაც მინდია უგრეხელიძე ჩაანაცვლა. თავის დროზე საქართველოს პროკურატურაში ოქრუაშვილის თანაშემწე გახლდათ. უკრაინაში მითხრეს, ევროსასამართლო ქართველებმა გაათახსირეს, ყველა საქმეში ცხვირს ყოფნო.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში თვა კენჭს ნაძალადევის რაიონში იყრიდა. ამომრჩევლის გულისმოსაგებად სჭირდებოდა და საქვეყნოდ აცხადებდა, თუ როგორ დაანგრის ბათუ სალინაძის ოჯახი, როგორ გამოგადო სამსახურიდან ირაკლი ოქრუაშვილმა ჩემი ფეხშიძე რძალი. ჩანდა, რომ გულშემატკივარი იყო. პირველ ხანებში მუხმინებოდა კიდევ; მერე დაიკარგა. საბოლოოდ გამოვიდა, რომ თვა ნულუკიანმა „გადამაგრო“.

— ასე რატომ ფიქრობთ? იქნებ, ვერ დაგეხმარებთ?
— არა... ჩემი დევნა ისევ გაგრძელდა. სპეცრაზმის კოტეჯის კომენდანტად ხნიერი კაცი მუშაობდა და მან მითხრა, 2013 წელს აქედან გაგვიყვანენო, მაგრამ ასე არ მოხდა. შვიდი წელი მჯიჯგუნეს ციხეში, ბევრჯერ სცადეს ჩემი მონაშენი, მკვლელებიც მომიგზავნეს, მაგრამ ღმერთი შექმნა და გადავრჩი. ჩემმა სიფხიზემ, ადამიანებთან კონტაქტის და ურთიერთობის უნარმა გადაამარჩინა. მოვივე ევროსასამართლოც, მაგრამ განაჩენი არ აღასრულეს.


— არც ევროსასამართლოს მიერ აღიარებული ზარალი აგინაზღაურეს?
— ვინც ჩემს მიმართ უკანონო გადაწყვეტილებებში მონაწილეობა მიიღო, ყველა — გამოძიებული, მოსამართლე, პროკურორი უნდა დაისაჯოს. იმ ხუთეულს კი — სააკაშვილს, მერაბიშვილს, ადემიშვილს, ოქრუაშვილსა და ბარამიძეს პასუხი უნდა მოეთხოვოს და ამით ჩემს ტანჯვას წერტილი დაესვას! ჩემს საქმეზე ევროსასამართლომ სახელ-

მწიფოს საცხოვრებლის დაბრუნება, ან დაზარალებულის თანხმობით შერჩეული საპირ-წონე ფართი და 15 ათასი ევრო დააკისრა. სახლიდან 700 დასახელების ნივთი წაიღეს, მათ შორის, — ოჯახის ნევრთა პირადი ნივთები...
— ევროსასამართლოს განჩინების შესუ-

ს არყოფნაში იუსტიციის მინისტრთან მისულყო. ჩემი ვაჟი ოთხჯერ მივიდა, მაგრამ თემამ ყურადღება არ მიაქცია. უკრაინიდან დაბრუნების შემდეგ, პარლამენტის თავმჯდომარესაც მივმართე, აღმასრულებელი ხელისუფლება მოვალეობას არ ასრულებს-მეთქი, მაგრამ ჩემი წერილები ხელიდან ხელში გადადის, სამართალი კი, არც ურმით დადის და არც — ფეხით. ყველანი გადაიბირეს.
— ბატონო ბათუ, თქვენი დაპატიმრების მიზეზი ის გახდა, რომ გამოძიებაში არასწორი გზით მიდიოდით, არა?
— ციხეში, ზევიდან დავალებული ერთ-ერთი თავდასხმისას, მოვახერხე და ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად, მკვლელები შევაჩერე. მათ მითხრეს, კალაძის საქმეში თქვენ სწორი გზით მიდიოდითო.
— კალაძის საქმეში სწორი გზა რა იყო?
— საქართველოში ყველა გატაცებას ტარიელ ონიანს უკვეთავდნენ. მას კი, საქართველოში თენგიზ გურჩიანი ჰყავდა „მაყურებლად“, რომელიც დავალების შესრულებასა და ფულის საკითხს აკონტროლებდა. გატაცებულეს ხან სვანეთში მალავდნენ, ხან — სხვაგან.
— ამბობენ, რომ გოგინაშვილი და კალაძე სვანეთში არ ყოფილან.
— ვინ ამბობს?
— დღევანდელი გამოძიება და აფრასიძეების ადვოკატები.
— არ ვამტკიცებ, რომ გატაცებულები აფრასიძეებთან ჰყავდათ. შემოსული იყო ოპერატიული ინფორმაცია, მაგრამ ინფორმაცია შესაძლოა, განგებ შემოგდებულ იყოს. ამიტომაც, მანამ უნდა გადამოწმდეს, სანამ რამე მოქმედებას დააპირებ. ვანარმობედი შემოსული კვალიფიციური ინფორმაციის გადამოწმებას.
— ამბობენ, აფრასიძეებს სახლების ქვეშ გვირაბები ჰქონდათ გათხრილი. მართალია?
— ტყუილია! სავარაუდოდ, ევგენის ტყეში დიდი ხნის წინ გაკეთებულ სამალავზე იყო საუბარი.
— ამის შესახებ საიდან იცოდით?
— ბევრი ინფორმაცია კონფიდენციალური იყო. წყაროზე საუბარი არ შეიძლება.
— ეგ ვიცი, მაგრამ წყარო კომპეტენტური იყო, ბატონო ბათუ?
— თუკი წყაროს სახელი გაჟღერდება, მის უსაფრთხოებაში დარწმუნებული არ შეიძლება იყო.
სეროიზულ პირთა დახმარებით, აფრასიძეები დავარწმუნეთ, ჩაბარებულიყვენ, რათა სისხლი არ დაღვრილიყო.
— ჩაბარების მერე, აფრასიძეები რა დანაშაულის აღიარებას აპირებდნენ?
— ამას გამოძიება დაადგენდა... ბევრ რამეს ფარდა რომ არ ახდოდა, აფრასიძეები მიზანმიმართულად გაანადგურეს, ჩემგან ფარულად.
— ყველა მათგანს კრიმინალური წარსული ჰქონდა?
— რა თქმა უნდა, არა. მაგალითად, შმაგი მძლოლი იყო, არაფერში ერეოდა. ისე, ვიცოდი, რომ ოჯახის ბურჯი, დოღო სიდიანი ოჯახის ბედს განიცდიდა.
— ანუ?
— ეტყობა გრძობდა, რომ მისი ოჯახის წევრებს ან ამონყვეტდნენ, ან დაიჭერდნენ. ომები ყველას შიშის ზარს სცემდა და ყველაფერზე ხელს აწერდა.
— იმასაც ამბობენ, რომ სოფელს ანოკე-ბდნენ და აყარალებდნენო. მართალია?
— აფრასიძეებს თავიანთი სიმართლე ჰქონდათ, მაგალითად, თუ ვინმე ხელს შეუშლიდათ, არ პატიობდნენ. ერთი ოჯახი გადასახლდა კიდევ სვანეთიდან, რადგან ვერ მოერიგდნენ, მაგრამ ეს მათი ბედი იყო. დამნაშავე უნდა დაიჭიროს, სულში ჩახელო, პირად მტრად კი არ უნდა გიხადო, არამედ, უნდა დაეხმარო, რომ სწორი პოზიციაზე დადგეს.
— ადრე მითხარი, კალაძის საქმის გამოძიება პირადი და მხივლ სააკაშვილმა და გიორგი ბარამიძემ დაგავალათ, ძიებისას სრული უფლებამოსილებაც გადმოგცემთ, თუმცა აფრასიძეების ასაყვანად ეცერის ცნობილი სპეცოპერაცია გახდა საჭირო, რომელიც

რულელობისთვის სადამსჯელო მექანიზმები არ აქვს?
— სამი თვის შემდეგ, სათანადო ორგანოებს წერილი ისევ მივწერე. ევროსასამართლომ ისევ გააფრთხილა სახელმწიფო, საცხოვრებელი დაუბრუნეთო.
— რა შემოგთავაზეს?
— მათდა გასაოცრად, კოტეჯი მილიონ დოლარად იქნა შეფასებული, ამას არ ელოდნენ. ევროსასამართლოს განჩინების საპასუხოდ, ჯერ ხობის რაიონში მიტოვებული ტექნიკუმის შენობა შემომთავაზეს, ბარემ ეთქვაო, გადადი აფხაზეთშიო და ეგაა. როცა მიხვდნენ, რომ არ გავჩერდებოდი, თემქაზე, მიტოვებულ სკოლის შენობაში კედლები გადაღებეს, სველი წერტილები მოანყვეს და ორი საკლასო ოთახის ფართი შემომთავაზეს. ეს ევროსასამართლოსაც შეატყობინეს. მთელმა საქართველომ იცის, ღირსების გამო სიკვდილზე მივდიოდი, თავი ასეთ უბედურებაში ჩაყავი — ნიღბიანებმა ოჯახი სახლიდან კინსისკვრით გამომიყარეს და თემქაზე, მიტოვებული სკოლის შენობაში დავსახლდებოდი?!
— თვა ნულუკიანმა ჩემი საქმე წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოიყენა და მერე დაივიწყა. გამოვიდა, რომ საქართველოს სასამართლო სისტემამ ჩემი საჩივრის განხილვისას თვითნებობა გამოიჩინა და მართლმსაჯულებაზე უარი თქვა. თურმე, ქონებას იმიტომ ვერ მიბრუნებენ, რომ სპეცრაზმისთვის სახელმწიფომ იქ რემონტი გააკეთა, რაშიც 100 000 ლარი დაიხარჯა. ეს პასუხი გამცა თვა ნულუკიანმა. კოტეჯი კი, ჩემს მფლობელობაში 1993 წლის იანვრიდანაა. სხვა გზა არ მქონდა და თვა ნულუკიანის მამასთან მივედი.
— მამა რა შუაშია?
— ის წარსულში კვალიფიციური იურისტი, მოსამართლე გახლდათ — ოცი კაცის დახვერტის განაჩენზე ჰქონდა ხელი მონერილი. წინ დავუდე თეას მონერილი პასუხი. ნაიკითხა, გაფთვრდა, რადგან იურისტის დანერის არ ჰგავდა. მერე, ხელწერას დახედდა და მითხრა, ეს ჩემი შვილის ნაწერი არ იქნება, ალბათ, გუნდური წესითაა დაწერილი. ამასობაში, სამკურნალოდ უკრაინაში უნდა წავსულიყავი, ჩემს შვილს ვთხოვე, ჩე-

ბაბრქიძეა მი-9 გვ.



საქართველო
საქართველო

დაპირისპირება

„ჯანელიძემ და მისმა თანამოაზრეებმა პრემიერი შეცდომაში შეიყვანეს!“

„ეს არის თავდაცვის სამინისტროს მიმართ განხორციელებული ბინძური კამპანია“, — ასე შეაფასა პრემიერმა ირაკლი ლარიბაშვილმა თავდაცვის უწყებაში მიმდინარე პროცესები. სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია კი თვლის, რომ „ჩეკისტმა“ მინდია ჯანელიძემ და იმ ადამიანებმა, რომლებიც მასთან არიან დაკავშირებული, ლარიბაშვილი შეცდომაში შეიყვანეს. ამ ადამიანებიდან ერთ-ერთი, მაისაიას თქმითვე, ვალერი ზუმბაძეა, რომელიც ზევ მელიქიძის არაერთი ინფორმაცია გაერცხლდა. ითქვა ისიც, ზუმბაძე, კონტრდაზვერვის სამსახურში მუშაობისას, ყველა იმ გამოძიებას ხელმძღვანელობდა, რომელიც განხორციელდა ე.წ. ჯაშუშურ საქმეებს ეხება. ამ დღეებში, ვალერი ზუმბაძეც აღაპარაკდა და „აპირისპირების“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა, რომ თავისი ღირსების დასაცავად სასამართლოში მიმართავს და პასუხს ყველა იმ ადამიანს მოსთხოვს, რომელიც მისი მისამართით აგორებულ სკანდალშია ჩართული. ზუმბაძე, რომელიც მინდია ჯანელიძის გამინისტრების შემდეგ თავდაცვის სამინისტროს გენერალური უფროსის მოადგილე დაინიშნა და აღნიშნული თანამდებობა რამდენიმე დღის წინ დატოვა, განსაკუთრებით ვახტანგ მაისაიას ედავება. ეს უკანასკნელი კი, „ქართულ სიტყვასთან“ კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ზუმბაძე ტყუის.

— ბატონო ვახტანგ, მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოხვედით, იმ ადამიანებზე ლაპარაკობთ, რომლებიც თქვენს დაკავებასთან არიან დაკავშირებული. მათ შორისაა ვალერი ზუმბაძეც, რომელმაც, როგორც თავად ამბობს, თავისი სიმათლის დაცვა მხოლოდ ახლა გადაწყვიტა... თქვენი აზრით, ვალერი ზუმბაძე ამდენი ხანი რატომ დუმდა?

— ვალერი ზუმბაძემ სამი გვარი გააუღერა — ჩემი, საიხან მუხაევასა და სოსო ცისკარიშვილის. ბუნებრივია, მის უკან გარკვეული ძალები დგანან და მისი ინტერვიუც, მინდა, ცალსახად ვთქვა, რომ მისი ნაბიჯი არ არის. ეს დაგეგმილი სტრატეგიული მიმართულებაა, რომელიც მისმა პოლიტიკურმა მფარველმა დაგეგმა და მფარველმა ლუსტრაცია თავის თავს გაუკეთა.

— ზუმბაძის მფარველი ვინაა?
— თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე და მისი მოადგილე ლირსიაშვილი, რომლებმაც განცხადებები ოფიციალურად გააკეთეს და ზუმბაძეს ამბრაზურასავით გადაუფარნენ.

2012-2014 წლებში, როცა მინდია ჯანელიძე კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო, ვალერი ზუმბაძე დააწინაურეს — საგამოძიებო სამსახურის უფროსი გახდა და ლავანთურის სპეცოპერაციის გამოძიება ჩააბარეს. არადა, რა გაუკეთა მან ფოტორეპორტიორების საქმეს, ჩემზე კარგად მოგეხსენებათ.

— ზუმბაძე ამბობს, რომ ამ საქმეში არაფერი გაუკეთებია და მხოლოდ ერთ, კონკრეტულ მიმართულებას ხელმძღვანელობდა...

— შეეკითხეთ მაშინ გია აბდალაძეს და მის ადვოკატს, ვინ ესაუბრებოდა მათ, როგორც მთავარი გამოძიებელი, ვინ აჩვენებდა საქმეს? ზუმბაძე ბევრ რაღაცას ამბობს, მაგრამ მხოლოდ მე სამ ტყუილში დავიჭირე.

— კონკრეტულად?

— ამბობს, რომ ადვოკატმა, რომელიც ჩემს საქმეს გაეცნო, მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, ჩემს დაცვაზე უარი თქვა, რაც სიცრუეა და ამის დამტკიცება დოკუმენტურად შემიძლია. საქმე ეხება 20-09 წლის 26 ივნისს, როცა სასამართლო სხდომაზე გამოძიებულს. მაშინ, სწორედ ვალერი ზუმბაძის ბრძანებით, კარცერში ვიყავი ჩაგდებული.

— რატომ გგონიათ, რომ თქვენი კარცერში ჩაგდების ბრძანება მაინცდამაინც ვალერი ზუმბაძემ გასცა?

— მელაძე და სხვა გამოძიებლები ამას ვერ გაბეზრებდნენ. მანამდე, ორი დღით ადრე, 24 ივნისს, ჩემი ხელით დაკურე განმარტება ნათია კორკოტაძის სახელზე. რომ წინა ჩვენებები, რომლებიც მიღებული იქნა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზენოლის შემდეგ, ტყუილი იყო. სხვათა შორის, არც ერთი ის ჩვენება ჩემი ხელით არ ყოფილა დაწერილი. ამას თვითონ ზუმბაძე აკეთებდა და ხელს ძალის გამოყენებით მანერინებდა. ამის მეორე, სასამართლოში დამიძახეს, სადაც ჩემი ოჯახის წევრებმა ადვოკატზე, რომელიც, ვიცოდით, ვალერი ზუმბაძესთან თანამშრომლობდა, უარი ოფიციალურად განაცხადეს. ზუმბაძე მას მანქანით დაატა-

რებდა და იმედი აქვს, რომ ჩემს წინააღმდეგ მტკიცებულებებს ამ ადვოკატის სახით წარმოადგენს.

— ეს ადვოკატი ვინაა?

— რა მნიშვნელობა აქვს? — თუ საჭირო გახდება, მერე ვიტყვი. ასე რომ, ამ ადვოკატზე ჩვენ ვთქვით უარი და თვითონ გავარდა აცრემლებული სასამართლო დარბაზიდან.

— მეორე ტყუილი რომელია?

— კარგად მოგეხსენებათ, თუ როგორი იყო ის სისტემა: ჰიპოტეტურად ვთქვათ, რომ გამოძიებასთან ვითანამშრომლე და თუ მართლაც ასე იყო, შედეგი არ უნდა დამდგარიყო? — ოცი წელი ტყუილად „ავიკი-

ვერ ჩამოირეცხს. ეს სასამართლო პროცესი მისი ლუსტრაცია იქნება!

ახლა იმიტომ გააქტიურდა, რომ ამ უშავა თავდაცვის ინსტიტუტი — მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ საბოლოოდ შეიტყო სიმათლი, შეეშინდა. ისე, კულბაშვილის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები არაფერ შუაშია, ჩვენ მყარი არგუმენტები გვაქვს, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს განაჩენიც.

— რა განაჩენი?

— მე, ხმალაძემ, ლაშა ტულუშმა და სანდრო ბარამიძემ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ, რომელიც 2014 წლის 14 მაისს დაკმაყოფილდა და დადასტურდა, რომ ის მუხლი, რომლითაც ჩვენ გავასამართლეს, არაკონსტიტუციური იყო. ჰიპოტეტურად, ფოტორეპორტიორები და მე, მართლაც, ჯაშუშები რომ ყოფილიყავით, მაინც არაკონსტიტუციური მუხლით გვასამართლებდნენ. რა, ეს ზუმბაძემ არ იცოდა? საკონსტიტუციო სასამართლომ გადამწყვეტილებით, ჩვენ, პრაქტიკულად, რეაბილიტირებული ვართ.

— ამის შესახებ ვალერი ზუმბაძემ, მინდია ჯანელიძემ, ან პრემიერმა არაფერი იცოდა, რომელიც ამბობს, რომ თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ მიზანმიმართული ბინძური კამპანია ხორციელდება?

— ვფიქრობ, ჯანელიძემ და მისმა თანამოაზრეებმა პრემიერი ლარიბაშვილი შეცდომაში შეიყვანეს, რაც კიდევ უფრო ძვირადანაშულია. თავდაცვის სამინისტრომ დაიწყო ამ თემით მანიპულირება, რასაც ისიც მიაბებს, თითქოს ნატო-ში განწვერიანების პროცესს ხელს უშლის. თქვე დალოცვილებო, უდანაშაულობის პრეზუმპციას ვერ დავარღვევ, მაგრამ ჯალათებს და სავარაუდო კაცისმკვლელებს ხელს აფარებთ და აქ ნატო-ს შუაშია?

— ვინმეს კაცისმკვლელებად მონათვლა გადამეტებული ხომ არაა?

— არა და გეტყვი, რატომაც: მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ზუმბაძე თეთრადის მკვლელობაშიც მონაწილეობდა. ჯაშუშების საქმეებს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი იმ დროს იკვლევდა და ამ დეპარტამენტის შემადგენლობაში ვინ იყო? — ეს ე.წ. სამეული: ზუმბაძე, ოთარ ორჯონიკიძე და ლადო დათაშვილი. ასევე, გიორგი მანშიშვილი, რომელსაც სასამართლომ განაჩენი სამი ახალგაზრდის მკვლელობისთვის გამოუტანა. ასეთი კაციჭამიები იყვნენ ამ დეპარტამენტში.

რაც შეეხება ჯანელიძეს, ის ჩეკისტია. ცალკე საუბრის თემაა, თუ რამდენადაა გამართლებული მისი მოსვლა თავდაცვის სამინისტროში. რა იცის ჩეკისტმა თავდაცვის პოლიტიკის შესახებ? მისი არაკომპეტენტურობა ყველა მიმართულებით გამოჩნდა. თავდაცვის სამინისტროში ბევრი რეფორმა ჩასატარებელი და ასეთი ადამიანები ამის გამკეთებლები არ არიან.

— ისე, უცნაურად არ გეჩვენებათ, რომ „ნაციონალები“ ზუმბაძეზე არაფერს ამბობენ?

— „ნაციონალობა“ ზუმბაძეზე ხმას, მართლაც, არ იღებს. ესეც ლუსტრაციაა — ამით „ნაციონალობაში“ დაადასტურა, რომ ზუმბაძე მისი კაცი იყო, ანუ გამოდის, რომ თავდაცვის სამინისტროში გამოვავლინეთ „მეხუთე კოლონა“, დღეს მისი გაშვება და გატყუება მიმდინარეობს. ეს იყო პირველი ანტიინაცისტური კამპანიის რეალური შედეგი, ანუ ფაქტების ერთობლიობით, ახლა ის მტკიცდება, რაც აქამდე შედაპირზე არ ჩანდა.

— რას აპირებთ, როგორი იქნება თქვენი შემდეგი ნაბიჯები?

— შევიტანეთ განცხადება და მივმართეთ პრემიერ-მინისტრს — ყველა ის ადამიანი, რომელიც ჯაშუშობის ბრალდებითაა გასამართლებული, მასთან შეხვედრას ვითხოვთ. პასუხს ველოდებით და ამის შემდეგ გვეცოდინება, თუ რას გავაკეთებთ. ამ საქმეს ბოლომდე მივყავით.


ვახტანგ მაისაია და ჯაშუშობის ბრალდებით სხვა გასამართლებული ღარიბაშვილთან შეხვედრას ითხოვს



„ცხვირის ტყავი გახვეული მგელი თავის საზიანო რამეს გაბატონებს? ეს პიარსვლა — იცის, ვიდრე მისი მფარველები ხალისუფლებანი არიან, სპემს საიდუმლო ბრიფი არ მოეხსენება... ზუმბაძემ ისიც იცის, რომ ამ შემთხვევაში რეალურად გამოჩნდება, თუ რას წარმოადგენს ეს საქმე და ამით თავს სამარეს გაუთხრის.“

ესაუბრა ნათია ვირაძე

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“
კარინე ლუცინი



საქართველო
საქართველო

იმ, სადღაც ჭიჭიარობა

„სვეტიცხოვლის თაობა, ღამის ოთხ საათზე, ამოუცნობი ხომალდი დაფრინდა...“

ადამიანთა კულტურებში უცხოპლანეტელი, ანუ არამინიერი ცივილიზაციის წარმომადგენელი ხშირად ჰუმანოიდური არსების სახითაა წარმოდგენილი, რომელსაც თმა, დიდი თავი, ასევე, დიდი თვალები და გრძელი ხელები აქვს. ითვლება, რომ უცხოპლანეტელი მომწვანო-მორუხოა და სქესი არ აქვს... გავრცელებული შეფასებით, უცხოპლანეტელები ისეთი ცივილიზაციის წარმომადგენლები არიან, რომელიც ცივილიზაციას დედამიწელა ტექნოლოგიურ განვითარებას უსწრებს. ერთი სიტყვით, უცხოპლანეტელები კოსმოსური მოგზაურები ან რომელიმე პლანეტის მაცხოვრებლები არიან, რომლებიც კოსმოსური ხომალდებით გადაადგილდებიან. ისე, გიზის პირამიდებსაც, მსოფლიოს სხვადასხვა ნერტილში არსებული მეგალითური ნაგებობების მსგავსად, უცხოპლანეტელების ცოდნაზე დაფუძნებულ შემოქმედებად თვლიან. ყოველ შემთხვევაში, ბევრი ფიქრობს, რომ ასეთი ნაგებობების შესაქმნელად ძველ ეგვიპტელებს სათანადო ტექნოლოგია არ ჰქონდათ... და მაინც, არსებობენ თუ არა უცხოპლანეტელები? – არამინიერი ცივილიზაციის არსებობის ზოგს სჯერა, ზოგს კი, ყველაფერი მითი ჰგონია... ბრიტანელთა აზრით, რადგან კაცობრიობა განვითარების პრიმიტიულ დონეზე იმყოფება, უცხოპლანეტელები კონტაქტში მხოლოდ იმ ცივილიზაციასთან შევლენ, რომელსაც გარკვეული ტექნოლოგია და ინტელექტი ექნება, რის მიღწევასაც დედამიწის მცხოვრებლები ძალიან ბევრ წელს მოანდომებენ. მათ, ვინც უცხო ცივილიზაციის არსებობაში დარწმუნებულები არიან და მფრინავი ობიექტების სჯერათ, კვლევის ახალი სფერო – უფოლოგია შექმნეს, რომელიც უცნობ მფრინავ ობიექტებზე დაკვირვებების შეგროვებისა და მათი ნამდვილობის დადგენის გარდა, მცდელობასაც გულისხმობს, რომ ყველაფერ ამას მეცნიერული განმარტება მიეცეს. მე-20 საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს, აშშ-ში და შემდეგ, მთელ სამყაროში გამოჩნდნენ ჯგუფები, რომლებიც შეისწავლიდნენ შეტყობინებებს ამოუცნობი გამომჩენაზე. უთვალავი მოყვარული უფოლოგიური ორგანიზაციის გარდა, ამ ფენომენის შესასწავლად სხვადასხვა ქვეყნის მთავრობის მიერ სპეციალური პროექტებიც იქმნება. პირველი ასეთი ჯგუფი 1943 წელს ინგლისელებმა შექმნეს, რომელიც „ფუ-ფაინთერებს“ (მფრინავი მანათობელი ბურთები, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო პილოტები მასიურად აფიქსირებდნენ) შეისწავლიდა. ამო-ს შესწავლაში, ასევე, აქტიურად მონაწილეობდნენ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და საბჭოთა კავშირში სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი... საქართველოში ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მიმართ ინტერესი მას შემდეგ გაჩნდა, რაც პრესაში რამდენიმე სენსაციური სტატია დაიბეჭდა. 1994 წელს საქართველოში შექმნილმა უფოლოგთა ასოციაციამ „სუფო“-მ ანთოლოგიური მოვლენების რეგისტრაცია და მონაცემების კატალოგიზაცია დაიწყო, მაგრამ 2007 წლიდან, დაფინანსების უქონლობის გამო, კვლევითი სამუშაოები შეჩერდა.



„ცე-რე-უ“-ს დირექტორის სპანდალური წერილი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დახურული სხდომა

ბელთა უგუნურების ბრალია. არსებობს „ცე-რე-უ“-ს გენერლის, რომელიც მერე „ცე-რე-უ“-ს დირექტორი გახდა, პილენ კოტერის აშშ-ის კონგრესისადმი მიწერილი წერილი, რომელიც მაშინვე გასაიდუმლოვდა. მომხსენებელი მიუთითებდა იმ ექსპერიმენტებზე, როცა ოკეანის აკვატორიაში ახალი ტიპის სამხედრო იარაღს ცდიდნენ. უცხოპლანეტელთა ხომალდს ეს იარაღი გემბანიდან ზემოთ აჰქონდა.

– საქართველოში დაფიქსირებულ ფაქტებზე რას იტყვი?
– წლების განმავლობაში, ამ თემაზე მასალებს ვაგროვებ, რაც ზოგს სასაცილოდაც არ ყოფნის, მაგრამ ჩემს კვლევებში უამრავი მოწმეა, რომელსაც ბევრი რამ საკუთარი თვალთა აქვს ნანახი და ამის უარყოფა შეუძლებელია. ისეთი ფაქტებია დაფიქსირებული, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში რომ არ ყოფილა.

– ამას რითი ხსნი?
– საქართველო ენერგეტიკულად საინტერესო რეგიონია. ზედაზნის მთების ტერიტორია უცხოპლანეტელების ხომალდების დაჯდომის ზონად ითვლება. მკვლევარები აფიქსირებენ სხვა მალალი ენერგეტიკის ადგილებსაც.

– ეს პროცესები ისევ მიმდინარეობს?
– ისინი ჩვენ არ გვეკითხებიან, როდის დაჯდებიან. ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, აკადემიკოსი ცქიტვიშვილი თავისი ავადმყოფის – უმაღლესი კატეგორიის მფრინავის დაღუპვის მერე, სამედიცინო

დასკვნაში წერდა, რომ იგი უცნობი ეტიმოლოგიის დაავადებისგან გარდაიცვალა, რომელიც ამო-ს დასხივების შედეგად მიიღო. დღემდე უუცნაველია ამოუცნობი მფრინავი ობიექტებისგან დაღვრილი სითხის ეტიმოლოგია.

– გიგლა, ეს დასხივებები ლოკალურია?
– ლოკალურიცაა და ფართომასშტაბიანიც – როცა როგორ დასჭირდებათ, თუმცა აგრესია იშვიათადაა დაფიქსირებული. თუკი ადამიანი, ტელეპათიურად, აგრესიას ამჟღავნებს, ასეთ შემთხვევაში, მათგანაც აგრესიას ღებულობს.

– გიგლა, მოდი, გახმაურებულ ფაქტებზე ვისაუბროთ...
– მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, მხატვარმა მერაბ ბერძენიშვილმა წყნეთის გზაზე, ცაზე გაჩერებული მფრინავი ობიექტი შენიშნა. ჩემს არქივში მხატვრის მიერ სიზუსტით შესრულებული ტექნოობიექტის სურათი დღემდე ინახება. სხვა მხატვარს კი, ეშერის ბაზიდან, წყლიდან ამომავალი, უცნაურად განათებული მფრინავი ობიექტის უნიკალური ნახატი აქვს – მაშინ გაგრის გზაზე მიმავალი უამრავი მანქანა გაჩერდა და ეს ფაქტი რამდენიმე ათეულმა ადამიანმა დააფიქსირა. ის, ვინც სურათი დამიხატა, შემდეგში, ერთ-ერთი სამინისტროს ხელმძღვანელი გახდა... სანახაობრივად საოცარი იყო სვეტიცხოვლის თავეზე გაჩერებული ობიექტიც და ამას შეეხსნო მცხეთაში, ქამხაშვილების უბნიდან გამოშვებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფი – სულ ცოტა, თხუთმეტი ადამიანი უყურებდა, თუ როგორ აფრინდა ხომალდი სვეტიცხოვლის გუმბათიდან, გომბორის სამხედრო ბაზისკენ გაემართა და იქ დაჯდა.

– ამ ფაქტებზე პასუხს ვერაფერს სცემს?
– წლების განმავლობაში, ვაფიქსირებ ფაქტებს, რომლებზეც ჩვენს აკადემიკოსებს პასუხი არ აქვთ.

– მაინც, რა დასკვნა გამოიტანა მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებულმა იმ სხდომაზე, წელან რომ ასხენენ?
– სხდომის მერე, უფოლოგ თაღეს შონიას, კვლევების ჩასატარებლად, რამდენიმე ოთახი მისცეს, მაგრამ იქ ხანძარი გაჩნდა

და უნიკალური ექსპონატები ცეცხლმა შთანთქმა...
საერთოდ, უცხოპლანეტელთა დედამიწაზე სტუმრობის კვლევებზე აშშ-ში, იაპონიაში, ისრაელსა და ჩინეთში დიდი თანხები იხარჯება.

– საქართველოში?
– ჩვენს ქვეყანაში ჯერ ვერ მოვიდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც ამით დაინტერესდება, თუმცა შევარდნაძეს შეეძლო ამის გაკეთება მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო.

– როგორ?
– ედუარდ შევარდნაძე გორბაჩოვისა და აშშ-ის პრეზიდენტ რონალდ რეიგანის შეხვედრებში იყო ჩართული. რეიკავიკში ყოფნისას, რეიგანმა სსრკ-ს პირველ და უკანასკნელ პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვს ჰკითხა: „მისტერ გორბაჩოვ, არამინიერი არსებებთან კვლევების საკითხში თუ მაინც გაკვეთიანდებიან?“ გორბაჩოვი დაჰპირდა, მაგრამ მალე საბჭოეთის იმპერია დაინგრა.

– დედამიწელებთან უცხოპლანეტელების კონფლიქტი არასოდეს დაფიქსირებულა?
– ეს ძალიან მუდამ გვაკვირდება... კონფლიქტში რომ შემოვიდეს, რას გაუკეთებ? პილენ კოტერი თავის წერილში წერდა, რომ დაკვირვება, სხვათა გამოცდილების გაზიარებაა საჭირო... 1978 წელს, ირანის ესკადრილის თვითმფრინავი ფრიად უცნაურ ვითარებაში განადგურდა. არსებობს ინფორმაცია, რომ ამო-ს გამოჩენისას, ავიაგამანადგურებლების მიერ გაშვებული ქურავები სამიზნე ობიექტამდე მიდის, შემდეგ კი, ასხლეტა ხდება და უკან ბრუნდება, რაც დღევანდელი მსოფლიო საავიაციო ტექნოლოგიებით შეუძლებელია. ასევე, წარმოდგენილია ისეთი მფრინავი მანქანების შექმნა, რომელიც მსგავს ნონას, ფორმასა და გაბარიტებს დააკმაყოფილებს... ისე, წარმოდგენილი, მხატვარი კარგა ხანს უყურებდა ცაში გაჩერებულ ობიექტს და ხატავდა. ეს შორს ნახული ცივილიზაციაა, რომელსაც დედამიწის მცხოვრებლები კარგა ხანს ვერ დაენევიან! რუსი მკვლევარი ბუ-



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვაც“

კარგო ღონისძიება

სტუდენტები.
შელოქმევა. ჟოლეტიკა

საინფორმაციო მხარდაჭერა



თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი 1 3 5

საბაკალავრო პროგრამები

- საგარტალგცოდნეობა
- ჟურნალისტიკა
- ზიზნესის ადმინისტრირება
- ტურიზმი
- ინგლისური ფილოლოგია
- აგროინჟინერია
- საერთაშორისო ურთიერთობები
- საჯარო მმართველობა
- სასუსათო ტექნოლოგია

საბაკალავრო პროგრამების არჩევითი მოდულები

- გენეჯგენტი
- ფინანსები
- საბუღალტრო აღრიცხვა
- ტურიზმი
- ჰიდრომელიორაცია
- სს მმქანიზაცია
- სს ელექტროფიკაცია

ინგლისური ფილოლოგიისა და სასუსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამებზე სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს დამატებითი სპეციალობა 60 კრედიტის ფარგლებში (minor ბიზნესის ადმინისტრირებაში, ან ტურიზმში)

სამაგისტრო პროგრამები

- გენეჯგენტი
- ფინანსები
- ტურიზმი
- სადგზღვევო საქმე
- სუსათის უზენალობა
- მცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის საქონელგცოდნეობა

მოდულის არჩევითი კურსები – 60 ECTS კრედიტი, ან დამატებითი სპეციალობები (minor) – 60 ECTS კრედიტი.

შეთავაზებული დამატებითი პროგრამებიდან სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს აგრარული მიმართულებები:

- სუსათის ტექნოლოგია – Food Technology - 0104
- მცხოველეობის პროდუქტების ნედლეულის წარმოება და პირველადი დამუშავება – Production and primary processing of raw animal products – 0103
- ან სსპ სპეციალობის minor

წლიური გადასახადი 2250 ლარი



მის.: აბ. ნინოშვილის №55; mail: tbuniver.edu@gmail.com;
ტელ.: 296-01-04; 296-01-90; 296-90-33

www.tbuniver.edu.ge Facebook: თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი



ლიტერატურა.
საქართველო. ქოლიჯი

მარადისობა

მე-16 გვერდიდან

მისი მკაცრად, კატეგორიულად შეუვალი სინამდის ბასტიონებს მიღმა რა ვულკანები თუხთუხებდა. რანაირად ახერხებდა იმ ყოვლისწამლევადი ლავის შეკავებას, ამისთანა რა დამბები ჰქონდა აგებული, ესეც უზენაესმა იცის მხოლოდ და მხოლოდ.

„და ამ სინამდის და ამ სინათლის წრეს არ გადავალ მე არასოდეს!“

არც გადასულა, რადგანაც ყველა შესაძლო ხიდი, ბორანი თუ ბოგირი, რომლებიც ჩვეულებრივ მოკვდავთა საუფლოსთან დაბრუნებას, კარგა ხნის წინ საგულდაგულოდ გადაწვა და მიინც მთელი ცხოვრება ებრძოდა ნებადართული და, ამავე დროს, აკრძალული სუსტი და მძაფრი სურვილების ყლორტებს, რომლებიც მის მკერდს ოქროს თევზებით ეხლებოდა, როგორ ცდილობდა სურვილების ზღვისთვის დაებრუნებინა ის სხმარტალა არსებები.

თუმცა გივი გეგეჭკორი რა პოეტი იქნებოდა, სილამაზისა და მშვენიერების აღქმა რომ არ შესძლებოდა მის უმცირეს ნიუანსებშიც კი:

„და კაბის ორი სახელოდან მოედინება ხავერდზე ორი თეთრი მდინარე“.

თუ გავიხსენებთ, რომ ეს სტრიქონები დიდ ფლორენციელს, „მონა ლიზას“ ეძღვნება, რომლის მაგიური ღიმილი მდინარის ოდნავ შერხეულ ზედაპირს გვაგონებს, არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ ეს ლექსი ლეონარდო და ვინჩის საკადრისი ლექსია.

სხვა ლექსში პოეტი შეჰყურებს თქამის ხიდზე ჩამოქვდარი ქალის ფეხებს და ეჩვენება, რომ ორი შიშველი ტერფი ნიგვზის ორი ლებანივით ციმციმებს. უდარდელად იცინის გოგონა და ვერც კი ხვდება, რა ძალის პატრონია, რომ მისი სიცოცხლის თეთრ მდინარეს პატარა ნისქეილის დატრიალება შეუძლია.

ეტყობა, მხოლოდ გივი გეგეჭკორს შეეძლო თუნდაც ერთი წამით საკუთარ არსებებაში გაეღვიძებინა წინაპართა სული და ჩვეულებრივ შინდის ბუჩქს, როგორც ღვთაებას, ისე მიახლოებოდა; დაენახა მისი სიცოცხლი, მისი უმწეობა, მისი ათრთოლებული სულის ბურუსი თუ სიხარულის ნათელი ლანდი:

„და მე ვარ წმინდა, რადგან წმინდა ხარ და თავდახრილი ბავშვივით სათნო...“

და თუ რამ უნდოდა ჯილდოდ, საკუთარი უგუნური ოცნების ჯილდოდ, შინდის უსიცყო მზერა უნდოდა და სხვა არაფერი.

გივი გეგეჭკორის ლექსებში ბოლოლი მარგალიტივით ბრწყინავს „თაყვანისცემის ლექსი“, რომელიც მან გვარიშვილობით, სილამაზით, სიმშვენიერით გამორჩეულ კოლეგა ქალბატონს მიუძღვნა, ქალბატონს რომელსაც გაუხუნარი ანჩის ღვთისმშობელი უწოდა და ეს შედარება არავის მიუჩნევია მკრეხელობად თუ თავხედობად:

„შენთან ვერავინ გადავა კეთილგონიერების, გინდა სიდარბაისლის და ზნეობის სამანს, ყველას შენი თვალების ნაკვერჩხლებით ერევი, მზერით ათვინიერებ, მშვენიერო თამარ!“

აქვე, ვთქვათ, რომ ლექსის ადრესატი თამარ ერისთავი იყო, მართლაც, უმშვენიერესი და ულამაზესი ქალბატონი. რომელმაც სამარის კარამდე ატარა ხიბლი და ათინათი შეუბღალავი სულის მქონე ბანოვანისა...

და ბოლოს, სულისშემკვრელი ლექსი „შენ სულამითი შეგიყვარდა ბოლოს, სოლომონ!“

ეს ლექსი ასკეტი პოეტის სრულ კაპიტულაციას ჰგავს იმ უბრალო ჭეშმარიტების წინაშე, რომ ჩვენ, რიგითი მოკვდავნი, ამაოდ ვებღაუჭებით ამქვეყნიურ სიკეთებს, რომ თითქმის ერთადერთი რამ, რისთვისაც ღირს სიცოცხლეცა და სიკვდილიც, სასურველი ქალის სადაფივით გადახსნილი ტუჩ-

ებია და რომ სიყვარულის გარდა სხვა ყველაფერი ფუჭია დედამინაზე. ესეც მხოლოდ ჭეშმარიტ პოეტს შეეძლო ეთქვა.

გივი გეგეჭკორი ნათელმხილველის დარად ამჩნევდა შავი ღრუბლების მოჯარებას მშობელი ქვეყნის თავზე და ხმამაღლა აფრთხილებდა ყველას, ფაშთასვლის უმკაცრესი მსაჯული გვიახლოვდება, ვილაცას დაუჩინებელი სურს დედამინა ორბიტიდან ამოვარდნილი იხილოს და გალაქტიკაში ჩაძირულ „ნაუტილუსად“ აქციოსო, აპოკალიფსური ზათქისა და გრუხუნის ხმა ესმოდა, ნგრევის ხმა და იმასაც ხედავდა, სასწაულებრივ გადარჩენილი ტაძრები როგორ ეკავათ მხრებით წელში გადრეკილ კარიბტიდებს.

გივი გეგეჭკორის „სიზმრის ლექსში“ მისტერია თამაშდება, რომელშიც პოეტი საკუთარ დასაფლავებას ესწრება. ჰოდა, ამ მისტერიაში სასახლე სასახლე კი არ არის, არამედ მამაპაპისეული საწინახელი. იმ საწინახელში კი არ აღარ დანურულა, უბრწყინვალესი რითმები, შედარებები, მეტაფორები, ერთი შეხედვით ისეთი სადა და უბრალონი, ლაბუა ჩიტებივით შეშინებულნი და აკანკალებულნი, რომ შენ, უბრალო მოკვდავს, გგონია, ასე ხომ მეც გავიჯვებოდიო, არადა, მათ შემქმნელს შეეძლო ჩამავალი მზე ყრმასავით მხრებზე შეესვა და ისე ეტარებინა. პლანტატორი გახლდათ, ლექსისა და ფიქრის ვეება დიუნების მეპატრონე, საიდანაც დროდადრო ყოვლისწამლევადი ლავა იფრქვეოდა ხოლმე; იცოდა, რომ მისთვის ბევრი რამ იყო გაუგებარი, უფრო კარგად კი ის იცოდა, ზოგი რამ ცხადი რომ იყოს, ცხოვრება ჩირადაც არ ეღირებოდა. არც ის ავიწყდებოდა, რომ ცხოვრება ლექსის რეფრენი არ არის და ამიტომაც არასოდეს განმეორდება. სულ ადარდებდა, როგორი იქნებოდა ხმელი წიფელი მისი აღსრულების მერე, ანდა მისი ბავშვობის საოცნებო მდინარე, ანდა დაქცეული ციხე-კოშკის ქონგურები; მასზე კარგად, აბა, ვინ იტყოდა, რომ ყველაზე გულწრფელი და სპეტაკი ცრემლი სხვის ცრემლზე დაღვრილი ცრემლია, ყრმობის სიზმრებს ბევრჯერ რეცხვით გასრეცილი ქსოვილივით უხილავ თოკზე ფენდა სასოებით, ბავშვური მორიდებითა და სიფრთხილით. რაც მთავარია, მან გვითხრა პირველად მწარე სიმათლე: ჩვენ, ვინც ასე მივესწრაფოდით თავისუფლებას, სამშობლოს ნაცვლად ეგვიპტელა შეგვრჩა ხელში და ამიტომაც მისი ცხოვრება მხოლოდ სინანულია გარდასულის გამო. მხოლოდ ლექსი შერჩენია ჭეშმარიტ ჭირისუფლად და მოზიარედ:

„დღეს ლექსია მხოლოდ ჩემი არსებობის თავდები.“

სად ხართ, ჩემო სტრიქონებო? ვცოცხლობ თქვენი იმედითაღ, ამ ცხოვრებას მე უთქვენოდ ვეღარ გავუშვალავდები“.

ველის ყვავილებივით ასოების ღაღანს დაჰყურებდა ტკივილითა და იმედითა. იმედითაც არ უმტყუნა. მისი ლექსები ქართული პოეზიის საუფლოში მეტად საპატიო ადგილს იკავებს. დარწმუნებული ვარ, რომ მათ მაღლსა და მირონს უამრავი დამჭაშნიკებელი გამოუჩნდება.

თავად ბატონი გივი კი დიდი სინათლის წრეში დგას, რწმენას ზვარაკად შეწირული პოეტი, სიცოცხლეში რომ დედინაცვლის გამეტებულ ცრემლში არეულ ქატოს აძალუბდნენ მუდამ, პოეტი, რომლისთვისაც ლექსი რელიგია გახლდათ და უბრალო ჭეშმარიტებას გვახსენებს, რომ ჩვენ, ადამიანები სიყვარულისა და ბედნიერებისთვის ვართ გაჩენილნი და ამიტომაც მუდამ უნდა ვიბრძოდეთ დედამინაზე ამ უმშვენიერესი ცნებების დასაცავად.

მე კი, გივი გეგეჭკორის ერთგულ მკითხველს, ისლა დამრჩენია, თავი მდაბლად დაუხარო რაინდად დაბადებული პიროვნების წმინდა ლანდს და მისივე სტრიქონებით მივმართო:

„რა მშვიდად მინგრევეს ახლა სიმშვიდეს შენი მშვიდი და ნათელი სული“.

ზაალ გოტოშვილი

არა-ჩვეულებრივი გვერდი



აშშ-ში მსუქნებსა და მწვაველებს სპეციალურ გადასახადს უნაესაზნ

აშშ-ში, კერძოდ, არიზონაში ახალი კანონი შემოაქვთ, რომელსაც „არაჯანსაღი ცხოვრების ბეგარა“ ერქმევა. კანონპროექტის ავტორი შტატის გუბერნატორი ჯენის ბრივერია, რომლის თქმითაც, ახალი გადასახადის გადახდა მწვევლებსა და ასევე, მათ მოუწევთ, ვინც ზედმეტ წონას და ამის ნიადაგზე უშვილობას უჩივია.

იმ შემთხვევაში, თუკი გუბერნატორის ინიციატივა კანონის სახეს მიიღებს, მაშინ არიზონას მოსახლეობის ზემოხსენებული კატეგორია იძულებული გახდება, ბიუჯეტს წელიწადში 50 დოლარი შესწიროს.

შეიძლება, გუბერნატორის იდეა ვინმემ არადემოკრატიულად ჩათვალოს, მაგრამ საგულისხმოა, რომ გასული წლის მონაცემებით, არიზონელთა 25 პროცენტს ჭარბი წონა აწუხებს. მწვევლთა რაოდენობა კი, 15,9 პროცენტია.

„თუ არ გსურთ, ცხოვრება შეცვალოთ და თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პასუხი აგოთ, რასაც საბოლოოდ, სახელმწიფოებრივ ხარჯებთან მიყვავართ, მაშინ მოგიწევთ, მონანილობა მიიღოთ თანადაფინანსებაში – პასუხი უნდა აგოთ იმისთვის, რომ თქვენი მონევა ჩვენ საკმაოდ დიდი თანხა გვიჯდება!“ – აცხადებს ერთ-ერთი ამერიკელი მოხელე.

არიზონელი სენატორი კრისტინ სინემა კი ამბობს: „ზოგიერთი დაავადებულია დიაბეტით, მისი ზედმეტი წონაც წწორედ ამის შედეგია და არა – შეცდომების, ან სიჯიუტის. დაავადებების გამო კი, ადამიანის დასჯა არასწორია“.




სიურპრიზები ოსკარის ნომინანტი ჰოლივუდელებისთვის

ქართული ინტერნეტპორტალი „მთავარი. ინფო“, ჰოლივუდურ მედიაზე დაყრდნობით იუნყება, რომ ოსკარის დაჯილდოვების ცერემონიის ორგანიზატორები ვარსკვლავების საჩუქრებზე, გასულ წელთან შედარებით, 40 ათასი დოლარით მეტს დახარჯავენ.

ოსკარზე ნომინირებულ ჰოლივუდელებს მხოლოდ ჯილდოები კი არა, სიურპრიზებიც ელოდებათ – ჰოლივუდში სიურპრიზების ტრადიციას საფუძველი რამდენიმე წლის წინ ჩაეფარა.

წლებადწელი სიურპრიზები კი, რაც, საერთო ჯამში, 125 ათასი დოლარი დაჯდება, ასეთია: ვარსკვლავები, ოსკარის ცერემონიაღამდე, კანადის მომაჯადოებელ მთებში მატარებლით იმოგზაურებენ. გარდა ამისა, ავტომობილების ერთწლიანი არენდის აბონემენტებსაც მიიღებენ. ნომინირებულიდან ერთ-ერთი იტალიის კურორტ ტოსკანაში დაისვენებს, ერთს კი, ცერემონიის ორგანიზატორები ე.წ. ღირებულები რჩევით დააჯილდოვებენ, რომელსაც „გონების კონტროლს“ ეძახიან.

შეგახსენებთ: ოსკარის დაჯილდოვების ცერემონია 22 თებერვალს გაიმართება.





83 წლის სუპერმოდელი სიმსიით ტკბავს

მართალია, 83 წლისაა, მაგრამ ასაკი მამაკაცთა დაპყრობაში ხელს ოდანავადაც არ უშლის. ყოველ შემთხვევაში, სუპერმოდელი კარმენ დელ ორეფანის ირწმუნება, რომ ისევ სრულფასოვანი სექსი აქვს.

„რასაკვირველია, სექსუალური ცხოვრება მაქვს, უარი რატომ უნდა ვთქვა?“, – რიტორიკულად კითხულობს 83 წლის მოდელი, რომელიც უარს არც გემრიელ კერძებზე ამბობს.

თითქმის 70 წელია, კარმენი მოდის ინდუსტრიაშია – ჟურნალ „ვოგის“ გარეკანზე მისი ფოტოები მაშინ გამოჩნდა, როცა 15 წლის იყო. მოგვიანებით კი, ფოტოგრაფ ერვინ ბლუმენფელდის მუზა გახდა.

„მასსოვს, „ვოგი“-ს წარმომადგენლები კონსულტაციისთვის ჩემთან, სახლში მოდიოდნენ, რადგან ძალიან გვიჭირდა – შინ ტელეფონიც კი არ გვქონდა“, – იხსენებს 83 წლის კარმენი.

მოკვდით? – თქვენი „ფეისბუქი“ გაინც იცოცხლებს!

მაღე „ფეისბუქელებს“ მემკვიდრის არჩევა-დანისთვის საშუალება ექნებათ. რას ნიშნავს „ფეისბუქის“ ენაზე მემკვიდრე? რას და, – ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ და, ვიდრე გარდაიცვლებით, შეგიძლიათ, აირჩიოთ ადამიანი, ვინც უფლებამოსილი იქნება, მას შემდეგ, რაც სულს განუტევეთ, თქვენს ე.წ. თაიმილინზე დაკრძალვის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნოს.

სხვათა შორის, მემკვიდრეს არ შეეძლება, თქვენი პირადი მიმონერა ნახოს. სამაგიეროდ, უფლებამოსილი იქნება, ახალი მეგობრები „დაიმატოს“, პროფილის ფოტო შეცვალოს და, ასევე, ახალი ალბომი შექმნას.

დღემდე ასრებული წესებით, მას შემდეგ, რაც „ფეისბუქის“ ადმინისტრაციას აცნობებდნენ, რომ პროფილის მუპატრონე გარდაიცვალა, გვერდი უქმდებოდა, ან იყინებოდა...

მაილი საირუსის პორნოგრაფიული ავანტიურა

ის, რომ მომღერალ მაილი საირუსს სიშიშვლისკენ აქვს მიდრეკილება, როგორც იტყვიან, არახალაია. შესაბამისად, არავის გაჰკვირვებია, რომ მაილიმ პორნო-ფესტივალში გადაწყვიტა მონაწილეობა.

რაც შეეხება თავად პორნო-ფესტივალს, არსებული ინფორმაციით, ის თებერვლის ბოლოს, ნიუ იორკში ჩატარდება, რომელზეც მომღერალი სამსუთიან ვიდეოს წარადგენს.

ვიდეოს ავტორი მხატვარი და არტფილმების რეჟისორი კვენტინ ჯონსია, რომელიც ამბობს, რომ ვიდეო პორნოგრაფია არაა, თუმცა სწორედ ამაზეა ნათქვამი, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებელი: ვიდეოში მომღერალი თითქმის შიშველია.

სხვათა შორის, უცნობია, თუ რას ფიქრობს ვარსკვლავის გადაწყვეტილებაზე მისი „ბოიფრენდი“ პატრიკ შვარცნეგერი, რომელთანაც საირუსს, როგორც ამბობენ, დაძაბული ურთიერთობები აქვს.

ლიონელ მესის ფოტო 428 ათას ევროდ გაიყიდა

იაპონელი მხატვრის ტაკაში მურაკამის სურათი, რომელზეც საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ არგენტინელი ფეხბურთელი, ლიონელ მესია გამოსახული, აუქციონზე 428 ათას ევროდ გაიყიდა.

აუქციონზე, ასევე, წარმოდგენილი იყო იტალიელი ფრანჩესკო ვეცოლის მიერ შესრულებული ჟერარ პიკეს ბიუსტი, ფეხბურთის ბურთი ლიონელ მესის ავტოგრაფით და სხვა მხატვართა ნამუშევრები.


აუქციონიდან შემოსულ 3 მილიონ ევროზე მეტი იმ საქველმოქმედო პროექტს მოხმარდება, რომელიც ბანგლადეშში, ნეპალსა და ინდონეზიაში ხელს საბავშვო სპორტის განვითარებას უწყობს.

ორლანდო ბლუმის უცნობი შეყვარებული

ბრიტანელი წარმოშობის ჰოლივუდელი, ორლანდო ბლუმი პაპარაცებმა ერთ-ერთ რესტორანში ქერათმიან ლამაზმანთან გამოიჭირეს. საერთოდ, 38 წლის ვარსკვლავისგან მსგავსი რაღაცები არავის უკვირს –

მას შემდეგ, რაც ცოლს, მოდელ მირანდა ქერის გაშორდა, ორლანდო „მეგობარ ქალებს“ სშირად იცვლის.

რაც შეეხება მის ახალ „შეყვარებულს“, გოგონას ჰოლივუდში თითქმის არავინ იცნობს.



ნათია ფანჯიკიძე

შენთანა ვარ ალავერდი,
შენს მტერს მალე ჩავექოლავ,
შენი თანავარსკვლავედი,
შენი ზოდიაქო ვარ!

ვანო პავლიაშვილი

შენ ყოველგვარ
მიხვრა-მოხვრას გასცლიხარ,
შენ ნამდვილი
ჟურნალისტი კაცი ხარ.

გუშინ, დღეს და ხვალ

საცოდაო ქართველებო,
ვინ გადინდის თქვენს ვალებს,
იყენენ მკაცრი მმართველები,
დესპოტებმა შეცვალეს.

დედა ენა

ჩვენს დედა ენას
მარად სხვისი ენით თუ ცვლიან,
შური და ბოლმა
არის მარად შენი ფუნქცია.

„ნაცურქმეის“

რომც იცოცხლო,
დაემსგავსო მათუსალას,
გამარჯობას არვინ გეტყვის,
არცთუ – სალამს.



37 წლის ლივ ტაილერა მირა შვილი ბაჩინა

37 წლის ასაკში, ჰოლივუდელი ლივ ტაილერი მეორე შვილის დედა გახდა.
ვაჟის მამა მენეჯერი დევიდ გარდნერია.



თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი „არამიანცის“) ეივლები – „ეპერჯენსი“



დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია



მთავარი რედაქტორი: ჯანსუღ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიანი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თამარ გოცაძე, ეზარ კვიციანი,
არმაზ სანუაშვილი.

მედია-ჯგუფი: მერიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძელი,
ნათია ლეზანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორექსორდენტი:
ზურა მებრეულიშვილი.

ბაზათი რეგისტრირებულია
რემონტალური
ცენტრის
(საბადასახალო
ინსაექცია) მიერ.
რეგისტრაციის №22851
მისამართი:
26 მაისის
მუედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulicityva@gmail.com
ბაზათი მოემდგმს თავისუფალი პრესის პრინციპით